პროექტის სახელწოდება: საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა - ECO.Georgia

ტყის მართვის შესაძლებლობების ანალიზი

(8 სამიზნე მუნიციპალიტეტის მიხედვით)

ანგარიში

მომზადებულია მარიკა ქავთარიშვილის მიერ

29 მარტი, 2023

შინაარსი

შესავალი ... 3

პროექტის შესახებ ... 3

1. მიზნები და ამოცანები ... 4

2. მეთოდოლოგია და სამუშაოს ფარგლები ... 4

3. მუნიციპალური ტყის მართვა საქართველოში ... 5

3.1. საკანონმდებლო საფუძვლები ... 5

3.2. მუნიციპალიტეტების მიერ ტყის მართვის არსებული პრაქტიკა საქართველოში ... 10

4. კვლევის შედეგები ... 11

4.1. გურია ... 11

4.1.1. ჩოხატაური ... 11

4.1.2. ლანჩხუთი ... 16

4.1.3. ოზურგეთი ... 20

4.2. კახეთი ... 25

4.2.1. ახმეტა ... 25

4.2.2. დედოფლისწყარო ... 29

4.2.3. თელავი ... 34

4.2.4. ყვარელი ... 39

4.3. მცხეთა–მთიანეთი ... 43

4.3.1. თიანეთი ... 43

5. შეთავაზებები ტყის მართვის ორგანოსთან დაკავშირებით ... 48

5.1. ტყის მართვის ორგანოს შექმნის საფუძველი ... 48

5.2. ტყის მართვის გამოცდილება ახმეტის მუნიციპალიტეტის მაგალითზე ... 49

5.3. შეთავაზება ტყის მართვის და კონტროლის მუნიციპალურ ორგანოებთან დაკავშირებით ... 51

6. დასკნები და რეკომენდაციები ... 53

7. ბიბლიოგრაფია ... 55

8. დანართები ... 59

დანართი 1. ფოკუს ჯგუფური დისკუსიების სახელმძღვანელო ... 59

შესავალი

მუნიციპალური ტყეების მართვა საქართველოში ძალიან ადრეულ ფაზაშია. საქართველოს ტყის კოდექსი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების მიერ ტყეების მართვას, თუმცა მუნიციპალიტეტების უმრავლესობას არ გააჩნია სტრატეგიული მიდგომა, პრაქტიკული ინსტრუმენტები, ეკონომიკური და ტექნიკური დაგეგმვა, ცნობიერება, პროფესიული უნარები და შესაძლებლობები იმისათვის, რომ აქტიურად ჩაერთონ ტყის მდგრად მართვაში. დღესდღეობით მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ მუნიციპალურ ტერიტორიებზე ჰქონდეთ მუნიციპალური ტყეები, ტყის კოდექსის თანახმად კი, 2030 წლამდე უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის“ განსაზღვრის კრიტერიუმები და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის წესი[1]. მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ტყეები შესაძლოა მოიცავდეს იმ ტყეებსაც, რომლებსაც ამ ეტაპზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო მართავს.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს პროექტის ***8 სამიზნე მუნიციპალიტეტის ტყის მართვის შესაძლებლობების შეფასების ანგარიშს***. ანგარიში მომზადებულია ორგანიზაცია GEO-ს მიერ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა (ECO.Georgia)“ მესამე კომპონენტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის საზოგადოების (SDC) მიერ და მიზნად ისახავს სოციალურად დაბალანსებულ გადასვლას ტყის მართვის ახალ მიდგომაზე, ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით („საარსებო წყაროები და ადგილობრივი თვითმმართველობა ტყის მართვაში“).

პროექტის შესახებ

ECO.Georgia წარმოადგენს კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) პროექტს, რომლის მიზანია საქართველოს მთავრობისა და GIZ-ის მხარდაჭერა სატყეო სექტორის რეფორმის განხორციელებაში. უფრო კონკრეტულად კი, პროექტი მიზნად ისახავს სათბური აირების შემცირებას საქართველოს ტყეების მდგრადი მართვისა და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების გზით, რათა შემცირდეს მოთხოვნა სათბობ შეშაზე. პროექტი სამი კომპონენტისაგან შედგება:

- 1-ლი კომპონენტი ეხმარება საქართველოს მთავრობას, საფუძველი ჩაუყაროს ტყის მდგრადი მართვის მთავარ პრინციპებს ეროვნულ დონეზე შესაბამისი პოლიტიკისა და სამართლებრივი გარემოს, ცოდნისა და მონაცემთა მართვის, ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების გზით. ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკულ ღონისძიებებს სამივე სამიზნე რეგიონში (270 000 ჰა-ზე მეტ ტერიტორიაზე) ახორციელებს ეროვნული სატყეო სააგენტო.
- მე-2 კომპონენტის ფარგლებში, პროექტი ხელს უწყობს საქართველოში ახალი ღუმელებისა და ალტერნატიული საწვავის სექტორის ზრდას მიწოდების ჯაჭვის

[1] გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ინფორმაციით, აღნიშნული წესის შემუშავება უკვე დაწყებულია.

განვითარების გზით. ასევე, მოხდება მომხმარებელთა ინფორმირება, რაც გაზრდის მოთხოვნას ფინანსური სტიმულირების და სამომხმარებლო დაფინანსების პროდუქტებზე.

- მე-3 კომპონენტი გაზრდის ადგილობრივი ხელისუფლების და მოქალაქეების შესაძლებლობებს ტყის მდგრად მართვაში მონაწილეობისათვის. შესაბამისად, სამიზნე რეგიონების თემებს მიეცემათ შესაძლებლობა, მოახდინონ შემოსავლის დივერსიფიკაცია სატყეო სექტორთან დაკავშირებული მიწოდების ჯაჭვების გაუმჯობესებისა და სატყეო მეურნეობებზე ცოდნისა და უნარების განვითარებაზე უკეთესი ხელმისაწვდომობით.

1. მიზნები და ამოცანები

წინამდებარე ანგარიშის მიზანია პროექტის 8 სამიზნე მუნიციპალიტეტის – ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, თიანეთის, ახმეტის, თელავის, ყვარლისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების – შესაძლებლობების და პოლიტიკური მზაობის შეფასება მუნიციპალური ტყის მართვის კუთხით.

ტექნიკური დავალების შესაბამისად, კვლევამ მოიცვა შემდეგი საკითხები:

- კონსულტაციები ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან მათი პოლიტიკური, ფინანსური და სხვა ინტერესების და ასევე, მუნიციპალური ტყის მართვასთან დაკავშირებით მათი წარმოდგენების/ცნობიერების შესწავლის მიზნით; ასევე, მუნიციპალიტეტების არსებული შესაძლებლობების შეფასება სამომავლოდ მუნიციპალური ტყის მართვასთან დაკავშირებით. შეფასებისას გათვალისწინებული იყო თითოეული მუნიციპალიტეტის ინტერესი ტყის მართვის კუთხით (რეკრეაციული, კომერციული ტყეები), მოქმედი კანონმდებლობის (ტყის კოდექსი) ფარგლებში. ანალიზის საფუძველზე, კვლევამ გამოავლინა ტყის მართვის ორგანოს და მისი კომპონენტების (რესურსები, ბიუჯეტი და ა.შ.) საუკეთესო სცენარები.
- შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის საზოგადოების (SDC) კომპონენტისთვის ჩატარებული, მუნიციპალური ტყის მართვის საკანონმდებლო ჩარჩოს კვლევის ანალიზი, და დამატებით შემდეგი ასპექტების შესწავლა:
    - ✓ ინსტიტუციური მოწყობა და ადამიანური რესურსები;
    - ✓ მუნიციპალური ტყეების მართვისთვის საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა;
    - ✓ ბიუჯეტის სტრუქტურა;
    - ✓ თითოეული მუნიციპალიტეტისთვის საჭირო ფინანსური რესურსები, რათა მართონ ტყეები მათი ინტერესის შესაბამისად.

2. მეთოდოლოგია და სამუშაოს ფარგლები

მეთოდოლოგია მოიცავდა ***სამაგიდო კვლევას*** და ***ხარისხობრივ ანალიზს*** (ფოკუს–ჯგუფური დისკუსიები და სიღრმისეული ინტერვიუები).

სამაგიდო კვლევების საშუალებით შეგროვდა და გაანალიზდა ინფორმაცია საქართველოში მუნიციპალური ტყეების მართვის საკანონმდებლო საფუძვლებისა და არსებული პრაქტიკის შესახებ. დამატებით, მუნიციპალიტეტებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე გაანალიზდა ისეთი საკითხები, როგორიცაა ინსტიტუციური მოწყობა და ადამიანური რესურსები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მფლობელობაში არსებული, მუნიციპალური ტყეების მართვისთვის საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის სტრუქტურა და მუნიციპალური ტყის მართვისთვის საჭირო ფინანსური რესურსები.

8–ვე სამიზნე მუნიციპალიტეტში ჩატარდა ***ფოკუს–ჯგუფური დისკუსიები,*** რომლებსაც ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტების მერები, მერის მოადგილეები, საკრებულოების და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები (მუნიციპალური სამსახურების, ასევე არსებული არასამეწარმეო/არაკომერციული იურიდიული პირების წარმომადგენლები). ფოკუს ჯგუფური დისკუსიის მიზანს წარმოადგენდა ინფორმაციის მოძიება მუნიციპალური ტყის მართვასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტების შესაძლო ინტერესების და პოლიტიკური ნებისა და პოლიტიკური და ფინანსური მზაობის შესახებ. ფოკუს ჯგუფური დისკუსია წარიმართა სპეციალურად შემუშავებული სახელმძღვანელოს საშუალებით (იხ. დანართი 1).

სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა 8–ვე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან და მიზნად ისახავდა ფოკუს–ჯგუფური დისკუსიებისას გამოვლენილ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციის მოძიებას, როგორიცაა მუნიციპალიტეტების სტრუქტურა, მუნიციპალური სამსახურებისა და არსებული ააიპ–ების ფუნქციონირება და ამ პროცესში არსებული გამოწვევები. ინტერვიუ ჩატარდა ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ მართული, თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის დირექტორთან და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებთან, რომლის საფუძველზეც გამოვლინდა მუნიციპალიტეტის მიერ ტყის მართვის პროცესის სპეციფიკა, ადმინისტრაციის სტრუქტურა და ადმიანური და ფინანსური რესურსები.

3. მუნიციპალური ტყის მართვა საქართველოში

3.1. საკანონმდებლო საფუძვლები

საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია (2013) განსაზღვრავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას საქართველოს ტყეების მიმართ – მათი ძირითადი ფუნქციური დანიშნულებისა და ფასეულობების გათვალისწინებით. კონცეფცია ერთიანია საქართველოს ყველა ტყისთვის, მიუხედავად მათი საკუთრების, მფლობელობის და მართვის ფორმებისა და საფუძვლად ედება სატყეო სექტორის კანონმდებლობის,

ინსტიტუციური მოწყობისა და სხვა პოლიტიკური ინსტრუმენტების შემუშავებასა და დახვეწას.[2]

2020 წლის საქართველოს კანონი საქართველოს ტყის კოდექსი აწესრიგებს ტყის მართვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს. კოდექსის მიხედვით, საქართველოს ტყე, მიუხედავად მისი საკუთრების ფორმისა, უნდა იმართებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად ჩამოყალიბებული სისტემის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს ტყის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, მისი ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტყის ეკოლოგიური ფასეულობის გათვალისწინებით მისი ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას, ტყის მართვაში საზოგადოების მონაწილეობას და მისთვის ტყის რესურსების ხელმისაწვდომობას.[3]

"ტყის კოდექსის" შესაბამისად, საქართველოს ტყე წარმოადგენს სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო საკუთრების ტყეებისა და მათი რესურსების ერთობლიობას[4]. ტყედ მიიჩნევა ის ტერიტორია, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ განმარტებას:

> *„ტყე – ტყის კონტურის შიგნით არსებული ტყის შემქმნელი სახეობებით დაფარული ტერიტორია და სხვა ტერიტორია, რომელიც ტყის ეკოსისტემის განუყოფელი ნაწილია. ტყის შემქმნელი სახეობებით დაფარული ტერიტორია – ტყის შემქმნელი მერქნიანი მცენარის ერთი ან რამდენიმე სახეობით დაფარული, არანაკლებ 10 მ სიგანისა და სულ მცირე 0.5 ჰა მიწის ფართობი, სადაც ხეთა დგომის სიმჭიდროვე ფართობის ერთეულზე შეადგენს არანაკლებ 0,1 სიხშირეს. ტყედ არ მიიჩნევა ტყის კონტურის გარეთ არსებული მიწის ფართობი: ბაღი (ხეხილის და სხვა), სკვერი, პარკი; ხეთა ზოლი, რომელიც ასრულებს ნიადაგის ეროზიისგან დაცვის ფუნქციას (ქარსაფარი ზოლი); ტერიტორია, რომელიც ტყეში არ არის და გამოიყენება მოკლევადიანი მონაცვლეობისთვის ტყის შემქმნელი სახეობების გაშენებიდან 30 წლამდე პერიოდში (პლანტაცია); მერქნიან სახეობათა დენდრარიუმი, საახალწლო ხის პლანტაცია; მერქნიან ხეთა (კაკალნაყოფიანების) პლანტაცია ნაყოფის მისაღებად, ხილკენკროვანი სახეობების პლანტაცია."*[5]

ხოლო ტერმინი "ტყის კონტური" განმარტებულია შემდეგნაირად:

> *"ტყის კონტური – ტყის საზღვარი, რომელსაც ადგენს საქართველოს მთავრობა შესაბამისი დადგენილებით".*[6]

საქართველოს ტყის კოდექსი არ შეიცავს "ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის" განმარტებას[7], თუმცა შეიცავს შემდეგ მოთხოვნას: საქართველოს მთავრობამ 2030 წლის 1

---

[2] საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 11 დეკემბრის #1742-1 დადგენილებით მიღებული საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია https://matsne.gov.ge/ka/document/view/2157869?publication=0

[3] საქართველოს კანონი საქართველოს ტყის კოდექსი, 2020 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4874066?publication=0

[4] საქართველოს კანონი საქართველოს ტყის კოდექსი 2020, მუხლი 2. „ტერმინთა განმარტება" (ა)

[5] საქართველოს კანონი საქართველოს ტყის კოდექსი 2020, მუხლი 2. „ტერმინთა განმარტება" (ბ)

[6] საქართველოს კანონი საქართველოს ტყის კოდექსი 2020, მუხლი 2. „ტერმინთა განმარტება" (ლ)

[7] ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის განმარტება მოცემულია საქართველოს მთავრობის 2007 წლის N105 დადგენილებაში ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის განსაზღვრის წესის შესახებ, თუმცა დადგენილება არ არის შესაბამისობაში ახალ ტყის კოდექსთან.

იანვრამდე შეიმუშაოს „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის“ განსაზღვრის კრიტერიუმები და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის წესი.[8] ამავდროულად, საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16, 24-ე და 107-ე მუხლები განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივ რესურსებთან, მათ შორის ტყის რესურსებთან დაკავშირებით.[9] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის რესურსებს აკუთვნებს მუნიციპალიტეტებს[10] და მათ მართვას მოიაზრებს „მუნიციპალიტეტების საკუთარ უფლებამოსილებად“ – ამ კანონით დადგენილი უფლებამოსილება, რომელსაც ის დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს.[11] საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, დააფუძნოს სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.[12]

საქართველოს ტყის კოდექსის თანახმად, ტყეზე საკუთრების უფლება განუყოფელია მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებისაგან. საქართველოს ტყე შეიძლება იყოს სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო საკუთრების. მუნიციპალური ტყე არის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე, რომელთან დაკავშირებულ მმართველობით უფლებამოსილებებს ამ კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.[13]

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით შეიქმნა ტყის კოდექსით გათვალიწინებული ტყის სტატუსის განმსაზღვრელი კომისია[14]. რაც შეეხება ტყისთვის “მუნიციპალური ტყის” სტატუსის მინიჭებას, კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყისთვის ან მისი ნაწილისთვის მუნიციპალური ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს შუამდგომლობას განიხილავს ტყის სტატუსის განმსაზღვრელი კომისია, რომელიც იქმნება მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე. ტყის სტატუსის განმსაზღვრელი კომისიის დასკვნის საფუძველზე შემუშავებული მუნიციპალური ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული

---

[8] საქართველოს კანონი საქართველოს ტყის კოდექსი 2020, მუხლი 95 “კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები/გამოსაცემი ნორმატიული აქტები”, 1

[9] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 2014 https://matsne.gov.ge/document/view/2244429?publication=54

[10] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი 2014, მუხლი 107 „მუნიციპალიტეტისთვის ამ კანონით მიკუთვნებული ქონება“, 1 (დ)

[11] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი 2014, მუხლი 15 „მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სახეები“, პუნქტი 2; მუხლი 16 „მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებანი“, 2 (გ)

[12] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი 2014, მუხლი 106[1] „მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის იურიდიული პირი“, პუნქტი 1

[13] საქართველოს კანონი საქართველოს ტყის კოდექსი 2020, მუხლი 5 “ტყეზე საკუთრების უფლება”, 1, 3

[14] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N 2–67 ტყის სტატუსის განმსაზღვრელი კომისიის შესახებ, 2023

ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემისა და მისთვის მუნიციპალური ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ".[15] მუნიციპალური ტყის სტატუსის მინიჭების წესს ადგენს „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ" დებულების[16] მე–7 და მე–8 მუხლები. მე–7 მუხლი, რომელიც შეეხება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყისთვის ან მისი ნაწილისთვის მუნიციპალური ტყის სტატუსის მინიჭების წესს, ძალაში შედის „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის" განსაზღვრის კრიტერიუმებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის წესის მთავრობის მიერ დამტკიცებისთანავე. რაც შეეხება მე–8 მუხლს, ის არეგულირებს ისეთ შემთხვევას, როდესაც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორია აკმაყოფილებს საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული ტერმინის -„ტყის " განმარტების მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში ასეთ ტერიტორიას შეიძლება მიენიჭოს მუნიციპალური ტყის სტატუსი, შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე (რომელიც შეიცავს ინფორმაციას ტყის მართვის ზოგად მიზნებსა და გეგმასთან დაკავშირებით). კომისიის დასკვნის საფუძველზე სამინისტრო ამზადებს შუამდგომლობას მუნიციპალური ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ და წარუდგენს საქართველოს მთავრობას. მთავრობის გადაწყვეტილების ფარგლებშივე ხდება მუნიციპალური ტყის საზღვრის დადგენა.[17]

საქართველოს ტყის კოდექსი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის კომპეტენციებს მუნიციპალური ტყის მართვის სფეროში:[18]

მუხლი 20. მუნიციპალიტეტის კომპეტენცია

მუნიციპალური ტყის მართვის სფეროში მუნიციპალიტეტის ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) მუნიციპალური ტყის მართვის ორგანოს შექმნა;

ბ) ტყის დაცვის, მოვლის, აღდგენა-გაშენებისა და ტყითსარგებლობის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

გ) უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობით ტყის დაცვის, მოვლის, აღდგენა-გაშენებისა და ტყითსარგებლობის ადგილობრივი პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა;

დ) ეკოლოგიური კატასტროფებით, ტყის მავნებელ-დაავადებებითა და სხვა მიზეზებით დაზიანებული ტყის აღდგენა-გაშენების ორგანიზებაში მონაწილეობა;

ე) ტყეში სტიქიური მოვლენების დროს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა;

ვ) უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოსთვის მუნიციპალური ტყის საზღვრების კორექტირების შესახებ წინადადების წარდგენა;

ზ) მუნიციპალური ტყის მართვის გეგმის დამტკიცება;

თ) ამ კოდექსით დადგენილი წესით მუნიციპალური ტყის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის

[15] საქართველოს კანონი საქართველოს ტყის კოდექსი 2020, მუხლი 2 "ტყის სტატუსის მინიჭება", 2,3

[16] საქართველოს მთავრობის დადგენილება N496 „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე, 2021. მუხლი 3.

[17] საქართველოს მთავრობის დადგენილება N496 „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე, 2021. მუხლი 18.

[18] საქართველოს კანონი საქართველოს ტყის კოდექსი 2020, მუხლი 20 – „მუნიციპალიტეტის კომპეტენცია"

განსახორციელებლად (გარდა იმ საქმიანობისა, რომელსაც ახორციელებს მხოლოდ ტყის მართვის ორგანო) შესაბამისი სანებართვო დოკუმენტის გაცემა და ხელშეკრულების დადება; ი) საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში უკანონო ტყითსარგებლობის ფაქტების აღკვეთა და ამ ფაქტების შესახებ შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინება; კ) საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუნიციპალური ტყის მართვის ორგანოს ქმნის და მუნიციპალური ტყის მართვის გეგმას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.[19] მუნიციპალური ტყის მართვის გეგმის დამტკიცების წესი ასევე დარეგულირებულია საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემის, კატეგორიზაციისა და მონიტორინგის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის #427 დადგენილებით[20].

ტყის კოდექსის 21–ე მუხლი არეგულირებს ტყის მართვის ორგანოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელ ფუნქციებს:

მუხლი 21. ტყის მართვის ორგანო 6. ტყის მართვის ორგანო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში: ა) ახორციელებს ტყეთმოწყობის ღონისძიებებს; ბ) ახორციელებს ტყის დაცვის ღონისძიებებს; გ) ახორციელებს ტყის მოვლისა და აღდგენა-გაშენების ღონისძიებებს; დ) ახორციელებს ტყითსარგებლობის ღონისძიებებს; ე) ტყის ცალკეულ ტერიტორიებთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენის მიზნით აფასებს და სწავლობს მათ მდგომარეობას და ქმნის მონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა ბაზას; ვ) სხვა ტყითმოსარგებლისგან მოითხოვს ტყის განადგურების თავიდან აცილებას და ისეთი ქმედების შეწყვეტას, რომელიც ტყეს აზიანებს; ზ) მონაწილეობს ტყეში სტიქიური მოვლენების დროს საგანგებო ღონისძიებებში; თ) უზრუნველყოფს სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვას, ხანძრის საფრთხის არსებობის შემთხვევაში ინფორმაციას დაუყოვნებლივ აწვდის შესაბამის ორგანოებს და მონაწილეობს ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში; ი) შეიმუშავებს ტყის მართვის გეგმის პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს[21]; კ) შეიმუშავებს და ამტკიცებს წლიურ სამოქმედო გეგმას; ლ) მონაწილეობს ეკოლოგიური კატასტროფებით, ტყის მავნებელ-დაავადებებითა და სხვა მიზეზებით დაზიანებული ტყის აღდგენა-გაშენების ორგანიზებაში; მ) ახორციელებს ამ კოდექსით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებითა და საკუთარი წესდებით ან დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ტყის კოდექსის თანახმად, ტყის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვისა და მუნიციპალური ტყის დაცვის სფეროში საზედამხედველო ფუნქციას ახორციელებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ შექმნილი უფლებამოსილი ორგანო.[22]

---

[19] საქართველოს კანონი საქართველოს ტყის კოდექსი 2020, მუხლი 21. პუნქტი 4

[20] საქართველოს მთავრობის დადგენილება N427 საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემის, კატეგორიზაციისა და მონიტორინგის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე, 2021. მუხლი 30

[21] გარდა იმ მუნიციპალური ტყისა, რომლის ფართობი 50 ჰა-ს არ აღემატება.

[22] საქართველოს კანონი საქართველოს ტყის კოდექსი 2020, მუხლი 22. პუნქტი 1

3.2. მუნიციპალიტეტების მიერ ტყის მართვის არსებული პრაქტიკა საქართველოში

დღესდღეობით საქართველოში მუნიციპალიტეტების მიერ ტყის მართვა მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში გვხვდება. ერთ–ერთი ასეთია პროექტის სამიზნე ახმეტის მუნიციპალიტეტი, რომელიც თუშეთის დაცული ლანდშფტის ტყის მართვის ორგანოა. თავად თუშეთის დაცული ლანდშაფტი 2003 წელს დაარსდა საქართველოს კანონით თუშეთის, ბაწარა–ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ კანონით[23]. კანონის თანახმად, თუშეთის დაცულ ლანდშფტს მართავს ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა, სპეციალურად ამ მიზნისთვის 2011 წელს დაარსებული ააიპ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის საშუალებით (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. თავი 5).

ქ. თბილისის საზღვრებში არსებულ მწვანე ნარგავებს[24] მართავს თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის სატყეო პოლიტიკის განყოფილება. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური შეიქმნა 2018 წლის 22 თებერვალს, როგორც მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს თბილისის გარემოს დაცვას, მწვანე ინფრასტრუქტურის განვითარებას, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო და სარეკრეაციო ზონების დაგეგმარებას, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მართვას და სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობით ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებას. სატყეო პოლიტიკის განყოფილება უზრუნველყოფს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მართვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, ტყის ინვენტარიზაციას, ტყის მდგომარეობის შესწავლა-გამოკვლევასა და ტყის აღდგენა-განახლების ღონისძიებების დაგეგმვას, მართვასა და კოორდინაციას. გარკვეული ფუნქციები გადანაწილებულია აგრეთვე მერიის რაიონების გამგეობებზე, მუნიციპალურ ინსპექციასა და სხვა საქალაქო სამსახურებზე.[25]

არაგვის დაცული ლანდშაფტისა და მაჭახელას დაცული ლანდშაფტის დაარსების შედეგად დუშეთის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები შესაძლოა ასევე გახდნენ ტყის მმართველი მუნიციპალიტეტები.

არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ კანონის[26] და მაჭახელას დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ კანონის[27] თანახმად, არაგვისა და მაჭახელას დაცულ ლანდშაფტებს (გარდა მის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყისა), მართავენ დუშეთის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები, სახელმწიფოს მიერ

[23] თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ, N2086, 2003

[24] ქ. თბილისის საზღვრებში არსებულ ტყეს მწვანე ნარგავების სტატუსი გააჩნიათ (საქართველოს კანონი ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ, N595, 2000 წელი)

[25] https://tbilisi.gov.ge/page/69

[26] საქართველოს კანონი არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ, 7102-Iს, 2020

[27] საქართველოს კანონი მაჭახელას დაცული ლანდშფტის შექმნისა და მართვის შესახებ, 1818-IXმს-Xმპ, 2022.

დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში, რისთვისაც გამოიყოფა შესაბამისი ფინანსური რესურსი. არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო ტყეს მართავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო ტყის მართვის გეგმისა და არაგვის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმის შესაბამისად. მაჭახელას დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო ტყეს მართავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აჭარის სატყეო სააგენტო ტყის მართვის გეგმისა და მაჭახელას დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმის შესაბამისად. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ამ დაცული ლანდშაფტების შექმნისა და მართვის კანონების ამოქმედებიდან 5 წლის შემდეგ განიხილავს დუშეთის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებისთვის შესაბამისი დაცული ლანდშაფტების ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყის ან მისი ნაწილის მართვის უფლებით გადაცემის საკითხს.

4. კვლევის შედეგები

წინამდებარე თავი შემუშავებულია სამიზნე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ჩატარებული ფოკუს–ჯგუფური დისკუსიებისა და ინდივიდუალური ინტერვიუების საფუძველზე (ნოემბერი 2022–იანვარი 2023). გარდა ამისა, კვლევის მიზნებისათვის თითოეული მუნიციპალიტეტისთვის გაანალიზდა მუნიციპალიტეტების საკრებულოების რეგლამენტები, მერიების დებულებები, ბიუჯეტისა და საშტატო ნუსხის შესახებ დადგენილებები.

4.1. გურია

4.1.1. ჩოხატაური

ტყე და ტყითსარგებლობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის ქვეშაა 52,168 ჰა ტერიტორია, საიდანაც 47,472 ტყითაა დაფარული.[28]

სურათი. 1 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტყით დაფარულობის რუკა

[28] წყარო: ეროვნული სატყეო სააგენტო, 2022



წყარო: რუკა დამზადებულია FES კვლევისთვის[29] ზურა ჯანიაშვილის და ლაშა ძაძამიას მიერ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი მდიდარია ტყით. ტყე მნიშვნელოვანი რესურსია მუნიციპალიტეტისათვის – მოსახლეობა იყენებს საშეშედ და სამასალედ. მუნიციაპლიტეტში დაახლოებით 25 სამხერხაოა, სადაც ხდება ტყის მერქნული რესურსის გადამუშავება (მასალის დამზადება). ტყის მერქნული რესურსების გარდა ადგილობრივები მოიპოვებენ ტყის არამერქნულ რესურსებს, როგორიცაა სამკურნალო მცენარეები. ძირითადად მოიპოვება ხარიშუბლა (პლატიფილინი *Senecio platypyllus*) რუსეთსა და უკრაინაში ექსპორტის მიზნით. არის ასევე გირჩის და სხვა არამერქნული რესურსების მოპოვების შემთხვევები.

ტყის მართვის ძირითადი ინტერესი, სარგებელი და რისკები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები პოზიტიურად, თუმცა სიფრთხილით არიან განწყობილი ტყის გადაცემის საკითხთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის წარმოამდგენლების აზრით, მუნიციპალიტეტისთვის ტყის გადაცემას შემდეგი ძირითადი სარგებელი ექნება:

1. ფინანსური სარგებელი სწორი მენეჯმენტის პირობებში: მუნიციპალიტეტის დამატებითი შემოსავლები ტყის იჯარით გაცემიდან. შესაძლოა, განვითარდეს ეკოტურიზმი, რომელიც დამატებითი შემოსავლის წყარო შეიძლება გახდეს მუნიციპალიტეტისთვის;
2. ტყის მართვის მუნიციპალურ ორგანოში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება;
3. შეშაზე და ტყის სხვა მერქნულ რესურსზე გამარტივებული ხელმისაწვდომობა ადგილობრივი მოსახლეობისთვის: თუ რომელიმე მოსახლეს დაეწვა სახლი და სჭირდება ხის მასალა, ბიუროკრატიული პროცედურების გამო ძალიან

[29] ტყის ეკოსისტემური სერვისები და ბენეფიციარები, Eco.Georgia, GIZ, 2022

გართულებულია მასალის მიღების პროცესი. მუნიციპალიტეტის მიერ ტყის მართვის შემთხვევაში ეს პროცესი გაიოლდება);
4. მუნიციპალიტეტს ექნება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფის შესაძლებლობა;
5. ტყეკაფების გამოყოფა მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომ უბნებზე (გასათვალისწინებელია რესურსის ხელმისაწვდომობა);
6. გაიზრდება ტყის არამერქნულ პროდუქტებზე ხელმისაწვდომობა;
7. შესაძლებელი იქნება სარეკრეაციო ზონების აღდგენა;
8. ტყის მართვის დეცენტრალიზაცია გამოიწვევს ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებას (მაგ. ტყის მართვის გამოცდილება მუნიციპალიტეტს გაუადვილებს წყლის რესურსების მართვასაც);
9. ტყის მოვლა უფრო პრიორიტეტული იქნება.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების აზრით, ტყის მართვაში გადაცემას ექნება შემდეგი რისკები:
1. კორუფციის რისკი;
2. საჭირო კადრების დეფიციტი;
3. საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის დეფიციტი;
4. მუნიციპალიტეტისთვის ტყის გადაცემა შესაძლოა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ აღქმული იყოს „საკუთარ“ ტყედ და გამოიწვიოს ხეტყის უნებართვო მოპოვება.

აღინიშნა, რომ უმრავლეს შემთხვევებში საშუალო და უფროსი ასაკის სოფლის მოსახლეობამ იცის, თუ რომელია ამა თუ იმ სოფლის ტყე და შეიძლება მისი საზღვრების დადგენა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობები ტყის პოტენციური მართვის კუთხით

<u>საკრებულოს უფლებამოსილება ბუნებრივ რესურსებთან მიმართებაში</u>

მიწათსარგებლობის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროები ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება,[30] კერძოდ:
- ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების პროგრამების დამტკიცება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსების მართვის წესების დადგენა;
- მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმის დამტკიცება;
- მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქარსაფარ (მინდორდაცვით) ზოლში სპეციალური დანიშნულებით ჭრის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცება.

საკრებულოში შექმნილია ხუთი კომისია:
- სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია;

[30] ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N9 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, 29 აპრილი, 2022 წ.

- საფინანსო-საბიუჯეტო კომისია;
- სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია;
- ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისია;
- სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია

ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი კომისიის ფუნქციებში შედის ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული საკითხები, ვერ იქნა მოძიებული.

მერიის ინსტიტუციური მოწყობა და უფლებამოსილება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურა, მერიის თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებები და მუშაობის ორგანიზაციის საფუძველია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება[31]. დებულების თანახმად, მერიას ხელმძღვანელობს მერი. დებულებით განსაზღვრულია მერის უფლებამოსილებები ქარსაფარი ზოლების მართვასთან დაკავშირებით, კერძოდ:

- საკრებულოს თანხმობით დებს ხელშეკრულებას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის სამეურნეო მიზნით გამოყენებისთვის დაინტერესებული პირისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ;
- შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმას;
- შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთზე სპეციალური დანიშნულებით ჭრის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას.

მერია შედგება სტრუქტურული ერთეულებისგან - მერიის სამსახურებისაგან. მერიის სამსახური შესაბამისი სფეროს მიხედვით უზრუნველყოფს მერის გადაწყვეტილებების შესრულებას, აგრეთვე ამზადებს მერის და მისი დავალებით - საკრებულოს გადაწყვეტილებების პროექტებს. ჩოხატაურის მერიაში სულ შექმნილია 10 სამსახური. ბუნებრივი რესურსების მართვაში მონაწილეობის მიღება, **გარემოს დაცვის ხელშეწყობა და სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა** შედის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ფუნქციებში.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშნოს მერის წარმომადგენელი, რომლის ერთ–ერთ ფუნქციასაც „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ – საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილების შესაბამისად **ცნობების გაცემა,** (გარდა დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა) წარმოადგენს. თუმცა ცნობის გაცემის უფლებამოსილება მოიცავს მხოლოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიას და არ ვრცელდება სახელმწიფო ტყიდან მოპოვებულ ხეტყეზე.

[31] ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N31 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ, 21 დეკემბერი 2017 წ.

<u>მერიის ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსები</u>

ჩოხატაურის მერიაში სულ ირიცხება 90 საშტატო თანამდებობა (მერიის ხელმძღვანელი პირები, სამსახურების ხელმძღვანელები და სპეციალისტები). მერიაში შექმნილია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილება, რომელშიც დასაქმებულია განყოფილების უფროსი და 1 სპეციალისტი სოფლის მეურნეობის საკითხებში. **გარემოს დაცვის საკითხების 1 სპეციალისტი ირიცხება მერიის ზედამხედველობის სამსახურში**. გარდა ამისა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულია 64 პირი, რომელთა შორისა არიან მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში (24) და მერის წარმომადგენლის თანაშემწეები ადმინისტრაციულ ერთეულში (40).[32]

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის თანახმად,[33] ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვრა 12,922.4 ათასი ლარით, საიდანაც 12,647.4 ათსი ლარი საკუთარი შემოსავლებია, ხოლო 275.0 ათასი სახელმწიფო ბიუჯეტის წილი.

ჩოხატაურის ბიუჯეტის შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს და სხვა შემოსავლებს. კატეგორია „სხვა შემოსავლები“ მოიცავს მოსაკრებელს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის (2,306.3 ათასი ლარი 2023 წელს) და მოსაკრებელს სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისთვის (400.0 ათასი ლარი 2023 წელს).

ჩოხატაურის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია 13,002.7 ათასი ლარით. ხარჯების უდიდესი ნაწილი მოდის შრომის ანაზღაურებაზე (7,906.1 ათასი ლარი), საქონელზე და მომსახურებაზე (3,552.6 ათასი ლარი) და სოციალური უზრუნველყოფაზე (880.0 ათასი ლარი). ხარჯების დარჩენილი ნაწილი მოდის პროცენტებზე, სუბსიდიებსა და სხვა ხარჯებზე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტებში შედის დასუფთავება და გარემოს დაცვა, რომლის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 980.0 ათასი ლარი. აქედან 900.0 ათასი ლარი განსაზღვრულია დასუფთავებისა და ნარჩენების გატანისთვის, ხოლო **80.0 ათასი ლარი – გარემოს დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობისთვის, რაც 2023 წლისთვის გულისხმობს მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობას. აღნიშნული დაფინანსება გამოეყო ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სერვის ჯგუფს და დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკების და სკვერების მოვლა-პატრონობა (გასხვლა-ფორმირება, შებარვა, გაცელვა, დასუფთავება, საფეხმავლო ბილიკების გაწმენდა სარეველებისგან, სარეველების შეწამვლა, ახალი ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა).**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიას არ გააჩნია მუნიციპალური ტყის მართვისთვის საჭირო ტექნიკური რესურსები.

---

[32] ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N3 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ, 17 იანვარი 2022 წ.

[33] ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N31 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ, 27 დეკემბერი 2022

4.1.2. ლანჩხუთი

ტყე და ტყითსარგებლობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის ქვეშაა 11,254 ჰა ტერიტორია, საიდანაც 11,114 ჰა ტყითაა დაფარული.[34]

სურათი. 2 ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის ტყით დაფარულობის რუკა



წყარო: რუკა დამზადებულია FES კვლევისთვის[35] ზურა ჯანიაშვილის და ლაშა ძაძამიას მიერ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლების განცხადებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ტყის მასივები შედარებით მცირეა. გასული საუკუნის 90-იან წლებში მასიურად გაიჩეხა ტყე, განსაკუთრებით სოფლების მიმდებარე ტერიტორიებზე. ბოლო წლებში გაზიფიცირების პროცესმა შედარებით შეამცირა ტყის ჭრა საშეშე მერქნის მოპოვების მიზნით, რადგან ზაფხულში მოსახლეობა გაზს მოიხმარს საჭმლის მოსამზადებლად და სხვა საჭიროებებისათვის.

მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლების განცხადებით, ამ ეტაპზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მხოლოდ სოფელ ჩიბათის მიმდებარედ გამოყოფს ტყეკაფებს. ეს პრობლემაა სხვა სოფლებისათვის, რადგან მათ ძალიან ძვირი

[34] წყარო: ეროვნული სატყეო სააგენტო, 2022

[35] ტყის ეკოსისტემური სერვისები და ბენეფიციარები, Eco.Georgia, GIZ, 2022

უჯდებათ ამ სოფლის ტყიდან შეშის გამოტანა. შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობა სოფლების მიმდებარე ტერიტორიებიდან შეშას უნებართვოდ მოიპოვებს. გარდა ამისა ტყეკაფები გამოიყოფა ძალიან გვიან შემოდგომას, რაც დამატებით პრობლემას ქმნის.

ტყის არამერქნული რესურსების მომხარება ძალიან დაბალია. იშვიათად გროვდება წაბლი და ეკალა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. ტყე და ტყის მიწები ადგილობრივების მიერ მეფუტკრეობისთვისაც გამოიყენება.

მერიის წარმომადგენლების განცხადებით, ადგილობრივმა მოსახლეობამ იცის, თუ რომელია მათი სოფლის ტყე და ისინი სოფლების მიმდებარე ტყეებს „თავისად“ მიიჩნევენ.

ტყის მართვის ძირითადი ინტერესი, სარგებელი და რისკები

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლების ნაწილს საკმაოდ დეტალური ინფორმაცია აქვს ახალი ტყის კოდექსის შესახებ. აქვთ ინფორმაცია, კოდექსით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტებისთვის ტყის გადაცემა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები მუნიციპალიტეტისთვის ტყის გადაცემას არსებულ სიტუაციაში დამატებით ტვირთად აღიქვამენ. აღნიშნეს, რომ არსებული რესურსით შეუძლებელია ტყეების მართვა და ტყეების გადაცემის შემთხვევაში აუცილებელი იქნება დამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

თუმცა, მერიის თანამშრომლების განცხადებით, მუნიციპალიტეტისთვის ტყეების გადაცემას სარგებელიც ექნება, კერძოდ:

- ამ ეტაპზე ამ პროცესს ხარჯის/ტვირთის მეტი არაფერი მოყვება, თუმცა დადებითი მხარე შეიძლება იყოს ადგილობრივების დასაქმება და გადამზადება;
- მუნიციაპლიტეტმა სოფელ ჩიბათში მოაწყო ტურიზტული ზონა ევროკავშირის პროექტის ფარგლებში. სამომავლოდ შესაძლოა სარეკრეაციო ზონები განვითარდეს, მაგალითად ველობილიკების და სხვა ატრაქციების მოწყობა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით;
- კოლხეთის დაცული ტერიტორიის ნაწილი ექცევა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რაც დამატებითი ეკო-ტურისტული ობიექტების განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

რაც შეეხება ტყის გადაცემის რისკებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების აზრით, ზოგადად, პროცესი წამგებიანი იქნება, იზრდება კორუფციის რისკი. მერიის თანამშრომლების აზრით, ამ პროცესში შესვლა არ არის რეკომენდებული, თუნდაც ზემოთ ჩამოთვლილი სარგებლის გამო.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობები ტყის პოტენციური მართვის კუთხით

საკრებულოს უფლებამოსილება ბუნებრივ რესურსებთან მიმართებაში

მიწათსარგებლობის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება[36], კერძოდ:

- ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების პროგრამების დამტკიცება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსების მართვის წესების დადგენა;
- მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმის დამტკიცება;
- მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქარსაფარ (მინდორდაცვით) ზოლში სპეციალური დანიშნულებით ჭრის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცება.

საკრებულოში შექმნილია ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.[37] კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომლის მიზანია დებულებით დადგენილი საკითხების საკრებულოში წინასწარ მომზადება, გადაწყვეტილებათა შესრულების ხელშეწყობა, მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე შესაბამისი მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლი. კომისია განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს, რეკომენდაციებს და დასკვნებს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწით სარგებლობის წესების დადგენის, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების პროგრამების პროექტების დამტკიცების, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსების მართვის წესების დადგენის, ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ.

მერიის ინსტიტუციური მოწყობა და უფლებამოსილება

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურას, მერიის თანამდებობის პირების და სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებებს და მუშაობის ორგანიზაციას ადგენს მუნიციპალიტეტის მერიის დებულება[38]. დებულების თანახმად, მერია შედგება მერიის ხელმძღვანელი თანამდებობის პირებისა (მერი და მერის მოადგილეები) და სტრუქტურული ერთეულებისაგან – მერიის სამსახურებისგან. მერიის სამსახური არის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც შესაბამისი სფეროს მიხედვით უზრუნველყოფს მერის გადაწყვეტილებების შესრულებას, აგრეთვე ამზადებს მერის და

[36] ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N15 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, 30 მარტი, 2018 წ.
[37] ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N52 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, 27 დეკემბერი, 2017 წ.
[38] ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N21 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ, 28 ივნისი 2022

მისი დავალებით - საკრებულოს გადაწყვეტილებების პროექტებს. ლანჩხუთის მერიაში შექმნილია 9 სამსახური.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში გაწერილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი ზოლების მართვასთან დაკავშირებული ნორმები, კერძოდ მუნიციპალიტეტის მერი:

- შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმას;
- შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთზე სპეციალური დანიშნულებით ჭრის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას.

მერი უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშნოს მერის წარმომადგენელი. მერიის წარმომადგენელი, სხვა ფუნქციებთან ერთად ვალდებულია მოახდინოს დროული რეაგირება, დაუყონებლივ აცნობოს მუნიციპალიტეტის მერიას და სხვა შესაბამის უწყებებს კანონით გათვალისწინებული სავარაუდო სამართალდარღვევების შესახებ, რომელთა შორისაა უკანონო ტყითსარგებლობა, ხე ბუჩქნარისა და ტყის კულტურების მოსპობა ან დაზიანება, მერქნიან მცენარეთა უკანონო გაჩეხვა/დაზიანება და ტყის ტერიტორიის ან დაცული ტერიტორიების მიწის თვითნებური დაკავება.

<u>მერიის ადმიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსები</u>

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში სულ ირიცხება 88 საშტატო თანამდებობა (მერიის ხელმძღვანელი პირები და სამსახურების ხელმძღვანელები და სპეციალისტები). გარდა ამისა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულია 43 პირი, რომელთა შორისა არიან მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში (16) და სპეციალისტები ადმინისტრაციულ ერთეულებში (27).[39] **მუნიციპალიტეტის მერიას არ ჰყავს თანამდებობის პირი გარემოს დაცვის ან ბუნებრივი რესურსების საკითხებზე.**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის[40] თანახმად, ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვრა 17,021.0 ათასი ლარით, საიდანაც 15,121.0 ათსი ლარი საკუთარი შემოსავლებია, ხოლო 1,900.0 ათასი სახელმწიფო ბიუჯეტის წილი.

ბიუჯეტის შემოსავლები მოიცავს საგადასახადო შემოსავლებს, გრანტებს და სხვა შემოსავლებს. შემოსავლებს შორის არ არის დაკონკრეტებული შემოსავალი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობიდან, თუმცა კატეგორია „სხვა შემოსავლები“ მოიცავს ადმინისტრაციულ მოსაკრებლებს და გადასახდელებს (22.0 ათასი ლარი 2023 წელს).

[39] ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N38 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ, 25 დეკემბერი 2017 წ.

[40] ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N37 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, 22 დეკემბერი 2022

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია 16,380.4 ათასი ლარით. ხარჯების უდიდესი ნაწილი მოდის შრომის ანაზღაურებაზე (7,421.0 ათასი ლარი), საქონელზე და მომსახურებაზე (7,045.2 ათასი ლარი), სუბსიდიებზე (821.6 ათასი ლარი) და სოციალურ უზრუნველყოფაზე (812.2 ათასი ლარი). ხარჯების მცირე ნაწილი მოდის პროცენტებსა და სხვა ხარჯებზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტის – დასუფთავებისა და გარემოს დაცვის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 2,319.0 ათასი ლარი, საიდანაც 2,049.2 ათასი ლარი განსაზღვრულია დასუფთავებისა და ნარჩენების გატანისთვის, ხოლო 249.8 ათასი ლარი – მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობისთვის. დაფინანსება გამოეყო ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს და დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა – სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა, ხეების გადაბელვა და შეთეთრება, რათა გაუმჯობესთეს მუნიციპალიტეტის მწვანე საფარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია შეზღუდულია ტექნიკური რესურსების თვალსაზრისით და არ გააჩნია მუნიციპალური ტყის მართვისთვის საჭირო ტექნიკური რესურსები. მერიის თანამშრომლების განცხადებით, დღეისათვის მუნიციპალიტეტს მუნიციპალური ნარჩენების გატანისთვის საკმარისი ტექნიკაც კი არ აქვს.

4.1.3. ოზურგეთი

ტყე და ტყითსარგებლობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის ქვეშაა 22,034 ჰა ტერიტორია, საიდანაც 20,932 ჰა ტყითაა დაფარული.[41]

სურათი. 3 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტყით დაფარულობის რუკა

[41] წყარო: ეროვნული სატყეო სააგენტო, 2022



წყარო: რუკა დამზადებულია FES კვლევისთვის[42] ზურა ჯანიაშვილის და ლაშა ძაძამიას მიერ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანმშრომლებს არ აქვთ ზუსტი ინფორმაცია ტყეებში არსებული მდგომარეობაზე. თავად მუნიციპალიტეტს სამოქმედო გეგმაში ტყის მიმართულებით აქტივობები გაწერილი არ აქვს, რადგან არ მართავენ ტყეს; ამიტომ არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მიზნით ხდება ტყის რესურსების გამოყენება. მათი ინფორმაციით, ადგილობრივი მოსახლეობა ტყის მერქნულ რესურსს ძირითადად საშეშედ იყენებს. არამერქნული პროდუქტებით სარგებლობა ნაკლებია. მერიის თანამშრომლების აზრით, ოზურგეთში არ არის ხეტყის უკანონო ჭრა და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონული სატყეო სამსახური კარგად მუშაობს.

მერიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მწვანე საფარის შენარჩუნება. არსებობს პრობლემები ამ კუთხით, კერძოდ:

- ზღვისპირა ზოლში ფიჭვების მასიურად დაავადებულია;
- ადგილი აქვს ქარსაფარ ზოლებში არსებული ხეების უნებართვო ჭრას ადგილობრივი მოსახლეობის მიერ (ძირითადად კლეპტომერია). ქარსაფარი ზოლების დიდი ნაწილი მიწის პრივატიზაციის შედეგ აღმოჩნდა კერძო საკუთრებაში. შესაბამისად, მიწის მესაკუთრეები ჭრიან ხეებს და ამ პროცესის კონტროლი გართულებულია.

[42] ტყის ეკოსისტემური სერვისები და ბენეფიციარები, Eco.Georgia, GIZ, 2022

ტყის მართვის ძირითადი ინტერესი, სარგებელი და რისკები

მერიაში არსებობს პოლიტიკური ნება მუნიციპალური ტყეების გადაცემის, თუმცა არსებობს რამდენიმე პირობა, რომლის დაკმაყოფილების შეთხვევაში მერია თანახმა იქნება გადაეცეთ მუნიციპალური ტყეები. ეს პირობები შემდეგია:

- არსებული ბიუჯეტით შეუძლებელია ტყის მართვის სამსახურის შექმნა. ამიტომ, აუცილებელია დამატებითი დაფინანსება ცენტრალური მთავრობიდან ან საერთაშორისო ორგანიზაციებიდან;
- არსებული ფინანსებით მინიმუმ 5 წელი მუნიციპალიტეტი ამ მიმართულებით ვერაფერს გააკეთებს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებს (ბავშვთა საკითხები, სოციალური საკითხები) მეტი მხარდაჭერა სჭირდება მუნიციპალიტეტიდან და მუნიციპალური ტყეების მართვა ზედმეტი ტვირთი იქნება;
- საერთაშორისო დონორების დახმარება აუცილებელია. თავდაპირველად მათ უნდა შეიტანონ მნიშვნელოვანი როლი სამსახურის ჩამოყალიბებაში, ხოლო პროცესის გამართვის შემდეგ შესაძლებელია გავიდნენ პროექტიდან. ამ შემთხვევაში საპილოტე კუთხით მერია მზადაა ჩაერთოს ამ პროცესში.

მერიის თანამშრომლები გამოყოფენ მუნიციპალური ტყეების გადაცემის შემდეგ დადებით ფაქტორებს:

- მეტი დეცენტრალიზაცია;
- ტყის უკეთ მოვლის მეტი რესურსი ადგილობრივ დონეზე;
- ტურისტული პოტენციალის გამოყენება და განვითარება.

მერიის თანამშრომლების მიერ დასახელდა ასევე მუნიციპალური ტყეების მართვის რისკები:

- კორუფცია;
- კვალიფიციური კადრების დეფიციტი;
- ხანძრების რისკები, რისთვისაც საჭირო იქნება დამატებითი ტექნიკა (მაგ. ვერტმფრენი)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებს არ აქვთ ზუსტი პასუხი იმაზე, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს მუნიციპალურ ტყედ. თუმცა, აღინიშნა, რომ ზოგ სოფელს აქვს ტყეები, რომელსაც ტრადიციულად სოფლის ტყეებად მიიჩნევდნენ (მაგ. სოფელ ანასეულის ტყე).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობები ტყის პოტენციური მართვის კუთხით

<u>საკრებულოს უფლებამოსილება ბუნებრივ რესურსებთან მიმართებაში</u>

მიწათსარგებლობის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება,[43] კერძოდ

- ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების პროგრამების დამტკიცება;

[43] ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, 27 ნოემბერი, 2017 წ.

- ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსების მართვის წესების დადგენა;
- მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმის დამტკიცება;
- მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქარსაფარ (მინდორდაცვით) ზოლში სპეციალური დანიშნულებით ჭრის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცება.

საკრებულოში შექმნილია აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია. კომისია[44] წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომლის მიზანია საკრებულოში განსახილველი საკითხების წინასწარი მომზადება, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობა, მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე შესაბამისი მიმართულებით მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების კონტროლი. კომისია განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს, რეკომენდაციებსა და დასკვნებს შემდეგ საკითხებზე:

- თვითმმართველი ერთეულის ქონების შეძენა, ფლობა, სარგებლობა და განკარგვა;
- კერძო სამართლის იურიდიული პირების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
- თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწათსარგებლობის წესების დადგენა;
- ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების პროგრამების პროექტების დამტკიცება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვის წესების დადგენა;
- სხვა.

<u>მერიის ინსტიტუციური მოწყობა და უფლებამოსილება</u>

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურის, მერიის თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებების და მუშაობის ორგანიზაციის საფუძველია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება[45]. დებულების თანახმად, ოზურგეთის მერია შედგება მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირებისაგან და 8 სტრუქტურული ერთეულისაგან (სამსახურებისაგან).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი:

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით დებს ხელშეკრულებას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის სამეურნეო მიზნით გამოყენებისთვის დაინტერესებული პირისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ;

[44] ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N13 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, 14 დეკემბერი, 2017 წ.
[45] ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N22 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ, 29 ნოემბერი 2019 წ.

- შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმას;
- შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთზე სპეციალური დანიშნულებით ჭრის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას;

ადმინისტრაციულ ერთეულებში ოზურგეთის მერის წარმომადგენლების ერთ–ერთ ფუნქციას ,,საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ – საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებით განსაზღვრული ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობის გაცემა წარმოადგენს. თუმცა ცნობის გაცემის უფლებამოსილება მოიცავს მხოლოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიას და არ ვრცელდება სახელმწიფო ტყიდან მოპოვებულ ხეტყეზე.

ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში სულ ირიცხება 109 საშტატო თანამდებობა (მერიის ხელმძღვანელი პირები და სამსახურების ხელმძღვანელები და სპეციალისტები). გარდა ამისა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულია 90 პირი, რომელთა შორის არიან მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში (30) და მერის წარმომადგენლის თანაშემწეები ადმინისტრაციულ ერთეულებში (60). გათვალისწინებულია ასევე შრომითი ხელშეკრულებით 20 პირის დასაქმება (არ არის განსაზღვრული მათი ფუნქციები).[46] **მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხაში არ არის გამოკვეთილი თანამდებობის პირი გარემოს დაცვის ან ბუნებრივი რესურსების საკითხებზე.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით,[47] ბიუჯეტის შემოსავლები მოიცავს საგადასახადო შემოსავლებს, გრანტებს და სხვა შემოსავლებს. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვრა 30,387.4 ათასი ლარით. ბიუჯეტის გრანტები განსაზღვრულია 310.0 ათასი ლარით და გულისხმობს ტრანსფერებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. რაც შეეხება სხვა შემოსავლებს – 2,932.6 ათას ლარს – ეს კატეგორია მოიცავს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელს (300.0 ათასი ლარი 2023 წელს).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია 30,605.1 ათასი ლარით. ხარჯების უდიდესი ნაწილი მოდის სუბსიდიებზე (18,788.0 ათასი ლარი), შრომის ანაზღაურებაზე (4,402.0 ათასი ლარი), საქონელზე და მომსახურებაზე (4,199.0

[46] ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N19 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ, 29 აპრილი 2022 წ.

[47] ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N33 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, 23 დეკემბერი 2022

ათასი ლარი) და სოციალურ უზრუნველყოფაზე (1,806.0 ათასი ლარი). ხარჯების მცირე ნაწილი მოდის პროცენტებზე, გრანტებზე და სხვა ხარჯებზე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 3,793.0 ათასი ლარი, საიდანაც 3,256.0 ათასი ლარი განსაზღვრულია დასუფთავებისა და ნარჩენების გატანისთვის, ხოლო 200.0 ათასი ლარი – რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობისა და განვითარებისთვის (სკვერებისა და პარკების მოვლა–პატრონობა, მწვანე ნარგავების შეძენა). 337.0 ათასი ლარი გამოყოფილია მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვისთვის. ზემოაღნიშნული პრიორიტეტული მიმართულების ქვეშ დაფინანსება გამოეყო ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას არ გააჩნია მუნიციპალური ტყის მართვისთვის საჭირო ტექნიკური რესურსები.

4.2. კახეთი

4.2.1. ახმეტა

ტყე და ტყითსარგებლობა ახმეტის მუნიციპალიტეტში

ახმეტის მუნიციპალიტეტში ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის ქვეშაა 64,810 ჰა ტერიტორია, საიდანაც 58,977 ჰა ტყითაა დაფარული.[48]

სურათი. 4 ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყით დაფარულობის რუკა

[48] წყარო: ეროვნული სატყეო სააგენტო, 2022

წყარო: რუკა დამზადებულია FES კვლევისთვის[49] ზურა ჯანიაშვილის და ლაშა ძაძამიას მიერ

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების ინფორმაციით, ახმეტის მუნიციპალიტეტი მდიდარია ტყით, მაგრამ ქალაქ ახმეტისა და სოფლების ახლოს მდებარე ტყეები ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ამასთან ის ტყეები, სადაც გზა მიდის, მასიურად გაიჩეხა წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე. მუნიციპალიტეტში ოპერირებს რამდენიმე კომპანია, რომელთაც აქვს მერქნის მოპოვების ლიცენზია. ბოლო წლებში მიმდინარე გაზიფიცირების პროცესმა შედარებით შეამცირა ტყეზე ზეწოლა. მუნიციპალიტეტში 15 არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირია. ალტერნატიული სათბობი რესურსის (ბრიკეტები) არარსებობის გამო ყველა ააიპი სათბობად შეშას იყენებს.

ტყის მართვის ძირითადი ინტერესი, სარგებელი და რისკები

ახმეტის მუნიციპალიტეტი ერთადერთია სამიზნე მუნიციპალიტეტებს შორის, რომელსაც აქვს ტყის მართვის გამოცდილება – მართავს თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტყეს. მიუხედავად იმისა, რომ თუშეთის დაცულ ლანდშაფტში ლიმიტირებულია ტყითსარგებლობა, მუნიციპალიტეტი მაინც მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდება – მუნიციპალიტეტს არ აქვს დაკისრებული ფუნქციების ეფექტურად შესასრულებლად საჭირო ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსები. ამ გამოცდილების და

[49] ტყის ეკოსისტემური სერვისები და ბენეფიციარები, Eco.Georgia, GIZ, 2022

ქვემოთ ჩამოთვლილი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ახმეტის მუნიციპალიტეტის მერი ტყის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის კატეგორიული წინააღმდეგია:

- თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტყის მართვისგამოცდილებიდან გამომდინარე, ტყის სხვა ფართობების მართვაში გადაცემა დამატებითი ტვირთი იქნება მუნიციპალიტეტისთვის, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტში ტყეები ცუდ მდგომარეობაშია;
- ტყის გადაცემის შემთხვევაში სარგებელზე მეტი ხარჯი იქნება. ხაზი გაესვა ხარჯ–სარგებლიანობის შესწავლის საჭიროებას;
- მაღალია კორუფციის რისკები მოცემულ სექტორში;
- მუნიციპალიტეტს შეიძლება სოფლების ახლო მდებარე ტყეები გადაეცეს და სწორედ ეს ტყეებია ყველაზე ცუდ მდგომარეობაში;
- მუნიციპალიტეტს არ აქვს ტყის მართვის რესურსი. ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტი მართავს თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტყეებს, თუმცა ამ პროცესშიც ბევრ პრობლემას აწყდება (დასახელდა ძირითადად ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსების ნაკლებობა).

შეხვედრაზე გამოიკვეთა მუნიციპალიტეტისთვის ტყის გადაცემის შესაძლო სარგებელიც. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლების განცხადებით, მუნიციპალიტეტში არის ნასოფლარები, რომლებიც ექცევა ტყის საზღვრებში. ადგილობრივი მოსახლეობა დაბრუნდა ნასოფლარებში, მაგრამ ძალიან გართულებულია სოფლის სტატუსის მინიჭება ბიუროკრატიული პროცედურების გამო. ასევე, სოფელი ბუხრები ითხოვდა სოფლის სტატუსის მინიჭებას. მუნიციპალიტეტმა მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, თუმცა ვერ მოხერხდა სოფლის სტატუსის მინიჭება. მუნიციპალიტეტის განცხადებით, ტყის საზღვრებში მოქცეული ნასოფლარებისთვის სოფლის სტატუსის მინიჭების შესახებ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან კომუნიკაცია დროში იწელება. ამ პროცესს გაამარტივებდა ამ ტერიტორიების მუნიციპალური მართვის ქვეშ მოქცევა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობები ტყის პოტენციური მართვის კუთხით

<u>საკრებულოს უფლებამოსილება ბუნებრივ რესურსებთან მიმართებაში</u>

მიწათსარგებლობის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროები ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება[50]. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

- ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების პროგრამების დამტკიცება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსების მართვის წესების დადგენა.

საკრებულოში შექმნილია სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია. კომისია[51] წარმოადგენს საკრებულოს

[50] ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N26 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, 2 მარტი, 2022 წ.

მუდმივმოქმედ ორგანოს, რომლის მიზანია საკრებულოში განსახილველი საკითხების წინასწარ მომზადება, საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლი. კომისია განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების პროგრამების დამტკიცების, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყისა და წყლის რესურსების მართვის წესების დადგენის შესახებ.

<u>მერიის ინსტიტუციური მოწყობა და უფლებამოსილება</u>

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურა, მერიის თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებები და მუშაობის ორგანიზაცია განსაზღვრულია ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით[52].

მერია შედგება უმაღლესი თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულებისაგან – მერიის სამსახურებისაგან, რომლებიც ფუნქციურ დანიშნულებათა მიხედვით შეიძლება დაიყოს ქვედანაყოფებად – განყოფილებებად. მერიაში სულ შექმნილია 10 სტრუქტურული ერთეული. ტყესთან დაკავშირებული საქმიანობები ამ სამსახურების საქმიანობის სფეროს არ განეკუთვნება.

მერი უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშნოს მერის წარმომადგენელი. მერის წარმომადგენელი დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე გასცემს ცნობას საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის№46 დადგენილების მე-8 მუხლის შესაბამისად, ხე-მცენარის ადგილწარმოშობის შესახებ. თუმცა ცნობის გაცემის უფლებამოსილება მოიცავს მხოლოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიას და არ ვრცელდება სახელმწიფო ტყიდან მოპოვებულ ხეტყეზე.

ახმეტის მუნიციპალიტეტი ერთადერთია სამიზნე მუნიციპალიტეტებს შორის, რომელიც მართავს ტყეს (იგულისხმება თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტყე) და შესაბამისად, გარკვეული გამოცდილება გააჩნია ტყის მართვის კუთხით (დეტალებისთვის იხ. თავი 5.2).

<u>მერიის ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსები</u>

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის[53] მიხედვით, მერიაში ირიცხება 97 საშტატო ერთეული, რომელშიც შედიან ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის

[51] ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N42 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, 4 მაისი, 2022 წ.
[52] ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N54 ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ, 3 აგვისტო 2022 წ.

ხელმძღვანელი პირები და სამსახურების ხელმძღვანელები და სპეციალისტები. გარდა ამისა, ადმინსტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულია 42 პირი, რომელშიც შედიან მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში (15) და სპეციალისტები ადმინისტრაციულ ერთეულში (27). საშტატო ნუსხა არ შეიცავს ინფორმაციას ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე სპეციალისტის შესახებ.

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით,[54] ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვრა 19,184.8 ათასი ლარით და მოიცავს გადასახადებს (18,129.8 ათასი ლარი), გრანტებს (355.0 ათასი ლარი) და სხვა შემოსავლებს (700.0 ათასი ლარი). კატეგორია „სხვა შემოსავლები“ მოიცავს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელს (150.0 ათასი ლარი 2023 წელს).

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია 16,140.2 ათასი ლარით. ხარჯების უდიდესი ნაწილი მოდის სუბსიდიებზე (9,586.1 ათასი ლარი), შრომის ანაზღაურებაზე (3,372.1 ათასი ლარი), საქონელზე და მომსახურებაზე (2,061.8 ათასი ლარი) და სოციალურ უზრუნველყოფაზე (790.3 ათასი ლარი). ხარჯების დარჩენილი ნაწილი მოდის პროცენტებზე, გრანტებსა და სხვა ხარჯებზე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 2,605.7 ათასი ლარი, საიდანაც 1,098.5 ათასი ლარი განსაზღვრულია დასუფთავებისა და ნარჩენების გატანისთვის, ხოლო 863.2 ათასი ლარი – გარემოს დაცვისთვის. აქედან 553.2 ათასი ლარი გამოეყო თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციას, ხოლო 310.0 ათასი ლარი – ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრს. ეს პრიორიტეტული მიმართულება მოიცავს ასევე კაპიტალურ დაბანდებებს გარემოს დაცვის სფეროში, რაც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს სპეციალური ტექნიკისა და ინვენტარის, კერძოდ ავტობუსისა და ნაგავმზიდის შეძენას (300.0 ათასი ლარი). ამჟამად ააიპ ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მართვის ცენტრში დასაქმებულია სულ 36 თანამშრომელი, მათგან 10 მუშა რომლებიც ახორციელებენ საველე სამუშაოებს. ცენტრს ჰყავს ავტომანქანა თვითმცლელი გაზ-53, ავტობუსი კავზ-685, ფორდ ტრანზიტი სატვირთო და 2 მსუბუქი ავტომანქანა (ნივა და ტოიოტა ქემრი). ააიპ ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მართვის ცენტრის მიერ შესრულებული სამუშაოების ზედამხედველობას ახორციელებს მერია.

ახმეტის მუნიციპალიტეტი ერთადერთია სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან, რომელიც უშუალოდ ჩართულია ტყის მართვის ღონისძიებებში – მართავს თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტყეებს. მუნიციპალიტეტს გააჩნია გარკვეული ტექნიკური რესურსები (იხ. თავი 5), თუმცა არსებული რესურსი საკმარისი არ არის ტყის მართვასთან დაკავშირებული ფუნქციების შესასრულებლად.

4.2.2. დედოფლისწყარო

[53] ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N29 ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ, 6 აპრილი, 2022 წ.
[54] ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N62 ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, 22 დეკემბერი 2022

ტყე და ტყითსარგებლობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის ქვეშაა 21,328 ჰა ტერიტორია, საიდანაც 19,107 ჰა ტყითაა დაფარული.[55]

სურათი. 5 დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტყით დაფარულობის რუკა



წყარო: რუკა დამზადებულია FES კვლევისთვის[56] ზურა ჯანიაშვილის და ლაშა ძაძამიას მიერ

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების განცხადებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი კახეთში ყველაზე ღარიბია ტყით დაფარულობის კუთხით. ჭალებში არსებული ტყეები შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია. სხვა ტყეები წინა საუკუნის 90-იან წლებში მნიშვნელოვნად გაიჩეხა და ძირითადად დარჩენილია ჯაგი და საბჭოთა დროს ხელოვნურად გაშენებული ფიჭვი და სხვა მარადმწვანე ნარგავები.

საშეშე მერქანზე მოთხოვნა დაბალია. 2017 წელს დასრულდა მუნიციპალიტეტის გაზიფიცირება, რის შემდეგაც მოსახლეობის მოთხოვნა შეშაზე შემცირდა. ეს განაპირობა იმან, რომ ვინაიდან ადგილობრივ მოსახლეობას შეშის ყიდვა სხვა მუნიციპალიტეტებიდან უხდებოდათ, შეშის ფასი შედარებით ძვირი იყო სხვა მაგალითად (სიღნაღის) მუნიციპალიტეტთან შედარებით, ამიტომ ადგილობრივებს გაზით გათბობა უფრო იაფი უჯდებათ. წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მზიანი დღეების რაოდენობა საკმაოდ ბევრია, რაც მუნიციპალიტეტს აფიქრებს მზის ენერგიის გამოყენებითი პროექტების განხორციელებაზე დონორების დახმარებით. თუმცა, მერიის თანამშრომლების განცხადებით, მაინც აქვს ადგილი შეშის უნებართვოდ მოპოვებას. სამასალედ ტყის მერქანი არ გამოიყენება და სახერხებიც ნაკლებია.

[55] წყარო: ეროვნული სატყეო სააგენტო, 2022

[56] ტყის ეკოსისტემური სერვისები და ბენეფიციარები, Eco.Georgia, GIZ, 2022

ტყის არამერქნული რესურსებიდან მოსახლეობა მოიპოვებს სოკოს, სატაცურს, ქარქვეტას, რომლის ექსპორტიც ხდება სომხეთში. ასევე, მოიპოვებენ ასკილს როგორც საკუთარი მოხმარებისთვის, ასევე სარეალიზაციოდ.

მუნიციპალიტეტში განვითარებულია სარეკრეაციო ტყითსარგებლობა – ყველა სოფელს აქვს „საქეიფო ადგილი“, რომელსაც სოფლები თავად მართავენ. სამომავლოდ თუ მუნიციპალიტეტს გადაეცემა ტყე, ამ ტერიტორიების იჯარით გაცემა იქნება შესაძლებელი და მუნიციპალიტეტი დამატებით შემოსავალს მიიღებს.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში სოფლის მოსახლეობამ იცის, თუ რომელია სოფლის ტყე. ისტორიულადაც მაგალითად სატყეო მეურნეობა გამოყოფდა ტყეკაფს და დააწერდა „სოფელ ოზანის ტყე“. ეს მეხსიერება მოსახლეობაში დღესაც არსებობს.

ტყის მართვის ძირითადი ინტერესი, სარგებელი და რისკები

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს აქვთ მზაობა დაიწყონ მსჯელობა ტყეების მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის საკითხზე. მათი აზრით, მუნიციპალიტეტი უნდა ჩაერთოს ტყის მართვის პროცესში, რადგან ადგილზე პრობლემები უფრო უკეთესად ჩანს და ცენტრიდან ამ პროცესის ეფექტურად მართვა ვერ მოხდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეროვნულ სატყეო სააგენტოს რეგიონულ სამსახურებში კადრების დეფიციტი აქვს.

მუნიციპალიტეტს აქვს გამოცდილება საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის. აღინიშნა, რომ UNESCO-ს მიერ დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის დაარსება კარგი შესაძლებლობაა მუნიციპალური ტყეების გადაცემის საპილოტე პროექტის განხორციელებისათვის.

შეხვედრის მონაწილეებმა გამოკვეთეს მუნიციპალიტეტისთვის ტყის გადაცემის დადებითი მხარეები:

- მუნიციპალიტეტს შეეძლება ტყის იჯარით გაცემა და დამატებითი შემოსავლის მიღება;
- ადგილობრივად მუნიციპალიტეტი უფრო კარგად მოუვლის ტყეს. ამ ეტაპზე კადრების სიმცირის გამო ეროვნული სატყეო სააგენტო ტყეს სათანადოდ ვერ უვლის.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ჰქონდა კონსულტაციები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნოების სამინისტროსთან სოფელ ელიასთან ე.წ. ჩინარის ტყის გადაცემის შესახებ. მუნიციპალიტეტი ახლაც ახორციელებს ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტი გარკვეულ პროექტებს, თუმცა, რადგან ეს ტერიტორია მუნიციპალიტეტის საკუთრებას არ წარმოადგენს, პროცესი სამართლებრივად გაუმართავია.

მუნიციპალიტეტისთვის ტყის გადაცემის ძირითადი რისკი დაკავშირებულია იმასთან, რომ ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტი საკუთარი ძალებით და არსებული ბიუჯეტით ვერ შეძლებს მუნიციპალური ტყეების მართვას. ამიტომ, აუცილებელია მუნიციპალური ტყის გადაცემას მოხდეს საჭირო ტექნიკურ-მატერიალური და ფინანსური რესურების უზრუნველყოფით. გარდა ამისა, ტყის მართვის კონტროლის პროცესში ადგილობრივ

ხელისუფლებას დასჭირდება ცენტრალური ხელისუფლების ჩართულობა და მხარდაჭერა. მნიშვნელოვანია, რომ ცენტრალურ ხელისუფლებასა და მუნიციპალიტეტს შორის არსებობდეს კოორდინაცია ფუქციების გამიჯვნისა და სხვა მიმართულებებით.

მუნიციპალიტეტის თანამშრომლების აზრით, ტყეების გადაცემის შემთხვევაში აუცილებელი იქნება ტყის მართვის ორგანოს – არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის დაარსება. ტყის მართვის ორგანოს შტატების რაოდენობა დამოკიდებული იქნება ტყის ფართობზე, რომელიც მუნიციპალიტეტს გადაეცემა.

მუნიციპალიტეტის თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ სჭირდებათ დამატებითი ინფორმაცია ტყის კოდექსის დებულებების შესახებ. ამ ეტაპზე მათ ეს ცოდნა არ აქვთ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის შესაძლებლობები ტყის პოტენციური მართვის კუთხით

<u>საკრებულოს ფუნქციები ბუნებრივ რესურსებთან მიმართებაში</u>

მიწათსარგებლობის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება[57]. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

- ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების პროგრამების დამტკიცება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსების მართვის წესების დადგენა.

საკრებულოში შექმნილია სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისია. კომისია[58] წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომლის მიზანია დებულებით დადგენილი საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადება, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობა, მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე შესაბამისი მიმართულების მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების კონტროლი. კომისია განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების პროგრამების პროექტების დამტკიცების შესახებ.

<u>მერიის ინსტიტუციური მოწყობა და უფლებამოსილება</u>

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურის, მერიის თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებების და მუშაობის

[57] დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N13 დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, 14 ივლისი, 2014 წ.
[58] დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N23 დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, 24 ივლისი, 2014 წ.

ორგანიზაციის საფუძველია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის დებულება[59]. დებულების მიხედვით, მერი არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილებები არ მოიცავს ტყის მართვას. დებულებაში აღნიშნულია მხოლოდ ქარსაფარ ზოლებთან დაკავშირებული უფლებამოსილებები, კერძოდ მერი:

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით დებს ხელშეკრულებას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის სამეურნეო მიზნით გამოყენებისთვის დაინტერესებული პირისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ;
- შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმას;
- შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთზე სპეციალური დანიშნულებით ჭრის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას.

მერია შედგება პირველადი სტრუქტურული ერთეულებისგან – მერიის სამსახურებისგან. მერიის სამსახურები შესაბამისი სფეროს მიხედვით უზრუნველყოფენ მერის გადაწყვეტილებების შესრულებას, აგრეთვე ამზადებენ მერის და მისი დავალებით – საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს. დედოფლისწყაროს მერიაში შექმნილია 10 სამსახური.

მერი უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშნოს მერის წარმომადგენელი. მერის წარმომადგენლის უფლებამოსილება განისაზღვრება მერიის დებულებით და წერილობითი ფორმით დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებით.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ერთ–ერთ ფუნქციას ცნობების გაცემა წარმოადგენს, რომელთა შორისაა საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორი) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე „საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებით განსაზღვრული წესით ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობის გაცემა. თუმცა ცნობის გაცემის უფლებამოსილება მოიცავს მხოლოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიას და არ ვრცელდება სახელმწიფო ტყიდან მოპოვებულ ხეტყეზე.

<u>მერიის ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსები</u>

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის[60] მიხედვით, მერიაში ირიცხება 67 საშტატო ერთეული, რომელშიც შედიან დედოფლისწყაროს

[59] დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N27 დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ, 8 დეკემბერი 2017 წ.

მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელი პირები, სამსახურების ხელმძღვანელები და სპეციალისტები. **მერიის ზედამხედველობის სამსახურში ირიცხება პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, მიწის გამოყენებისა და მიწათსარგებლობის წესების დაცვის საკითხებში**. გარდა ამისა, ადმინსტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულია 45 პირი, რომელშიც შედიან მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში და სპეციალისტები ადმინისტრაციულ ერთეულში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით,[61] ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვრა 11,085.0 ათასი ლარით და მოიცავს გადასახადებს (8,550.0 ათასი ლარი), გრანტებს (230.0 ათასი ლარი), რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, და სხვა შემოსავლებს (2,305.0 ათასი ლარი). კატეგორია „სხვა შემოსავლები“ მოიცავს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელს (2,000.0 ათასი ლარი 2023 წელს).

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია 11,024.1 ათასი ლარით. ხარჯების უდიდესი ნაწილი მოდის სუბსიდიებზე (6,042.6 ათასი ლარი), შრომის ანაზღაურებაზე (2,990.0 ათასი ლარი), საქონელზე და მომსახურებაზე (1,115.0 ათასი ლარი) და სოციალურ უზრუნველყოფაზე (401.0 ათასი ლარი). ხარჯების დანარჩენი ნაწილი მოდის პროცენტებზე, გრანტებზე და სხვა ხარჯებზე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 1,124.0 ათასი ლარი, საიდანაც 1,100.0 ათასი ლარი განსაზღვრულია დასუფთავებისა და ნარჩენების გატანისთვის, **ხოლო 24.0 ათასი ლარი – მწვანე ნარგავების მოვლა–პატრონობა, განვითარებისთვის**. დაფინანსება გამოეყო ააიპ დედოფლისწყაროს კომუნალური მომსახურეობის ცენტრს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, ცენტრში დასაქმებულია სულ 119 თანამშრომელი (მუშების ჩათვლით). ცენტრის ძირითადი საქმიანობებია ხემცენარეებისა და ბუჩქების გასხვლა–ფორმირება, შემობარვა, გადაბელვა, დარგვა (მცირე მასშტატბებით) მორწყვა, დალაგება/დასუფთავება. ცენტს ჰყავს 6 ნაგავმზიდი, 2 სატვირთო და ერთი მსუბუქი მანქანა, ხელსაწყოებიდან კი – ბენზოხერხი, ბენზოსათიბელა, სასხლავი მაკრატლები, ხერხი, ფოცხი. სპეცტანსაცმელი არ აქვთ, მხოლოდ ხელთათმანები ურიგდებათ.

4.2.3. თელავი

ტყე და ტყითსარგებლობა თელავის მუნიციპალიტეტში

---

[60] დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N13 დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ, 30 სექტემბერი, 2022 წ.

[61] დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N23 დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, 23 დეკემბერი 2022

თელავის მუნიციპალიტეტში ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის ქვეშაა 57,126 ჰა ტერიტორია, საიდანაც 51,984 ჰა ტყითაა დაფარული.[62]

სურათი. 6 თელავის მუნიციპალიტეტის ტყით დაფარულობის რუკა



წყარო: რუკა დამზადებულია FES კვლევისთვის[63] ზურა ჯანიაშვილის და ლაშა ძაძამიას მიერ

თელავის მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაახლოებით 50,000 ჰექტარი ტყეა. თუმცა მუნიციპალიტეტი არ ფლობს დეტალურ ინფორმაციას ტყეების მდგომარეობის შესახებ. მათი ინფორმაციით, თელავის შემოგარენში ტყე სულ გაიჩეხა და ძირითადად ბუჩქნარია დარჩენილი; შესაძლოა უკანონო ჭრები მცირე მასშტაბით ახლაც გრძელდება. მძიმე მდგომარეობაა როგორც ქალაქ თელავის მიმდებარე ტყეებში, ასევე სოფლების მიმდებარე ტყეებშიც. მოსახლეობა ტყეს ძირითადად საშეშე მერქნის მოპოვების მიზნით იყენებს. მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესა ახლახანს დასრულებულმა გაზიფიცირების პროცესმა – მოსახლეობა ზაფხულში აღარ იყენებს შეშას, რამაც ტყეზე ზეწოლა შეამცირა.

[62] წყარო: ეროვნული სატყეო სააგენტო, 2022

[63] ტყის ეკოსისტემური სერვისები და ბენეფიციარები, Eco.Georgia, GIZ, 2022

მერიის თანამშრომლების ინფორმაციით, სამასალე მექნის გამოყენებას მცირე მასშტაბები აქვს. სოფელ კისისხევში ხდებოდა სამასალე მერქნის მოპოვება, მაგრამ მარაგები ამოიწურა.

მონაწილების მიერ ხაზი გაესვა ალაზნის ჭალის ტყეების მდგომარეობას – აღინიშნა, რომ ჭალის ტყეებთან ფერმებია და მიმდებარე ტერიტორიები საძოვრებად გამოიყენება. ფერმერები კარგად უვლიან მათ მიმდებარე ტერიტორიებს. სადაც ფერმა არ არის, იქ ტყე იჭრება და მძიმე მდგომარეობაა. აღინიშნა, რომ ტყის ტერიტორიები აქტიურად გამოიყენება საძოვრებად.

ტყის არამერქნული რესურსები ნაკლებად გამოიყენება. ადგილობრივები მცირე მოცულობებით აგროვებენ წაბლს და კუნელს.

ტყის მართვის ძირითადი ინტერესი, სარგებელი და რისკები

მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან ადგილობრივი მოსახლეობის შეშით მომარაგების საკითხში და აწვდის კომლთა სიას. მუნიციპალიტეტი ახდენს სიის განახლებას იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს რაიმე ცვლილებას რომელიმე კომლში (ოჯახის უფროსის გარდაცვალება, ახალი ოჯახის დაფუძნება და ა.შ.). სხვა შეხება მუნიციპალიტეტს ტყესთან დაკავშირებულ საკითხებზე არ აქვს.

შეხვედრაზე გამოიკვეთა ის სარგებელი, რაც თელავის მუნიციპალიტეტისთვის ტყის გადაცემას შეიძლება მოჰყვეს:

- ტყის გადაცემის შემთხვევაში მუნიციპალიტეტებს ექნებათ მეტი შესაძლებლობა დონორებთან ერთად განახორციელოს სარეკრეაციო ტიპის პროექტები. ამ ეტაპზე მსგავსი პროექტების განხორციელება პრობლემაა, რადგან არ არსებობს მუნიციპალური ტყე. მონაწილეებმა აღნიშნეს ლაფანყურის ტყის მაგალითი, სადაც World Vision აფინანსებდა სარეკრეაციო ზონის განვითარებას, მაგრამ გაჭიანურდა იმის გამო, რომ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ დროულად ვერ გამოყო შესაბმისი ადგილი. პრობლემები იქმნება მუნიციპალიტეტის ან კერძო სექტორის ისეთი ინიციატივების/პროექტების განხორციელების დროსაც, რომელიც გადის სატყეო ტერიტორიებზე. აღინიშნა, რომ ეს ტყეები თუ იქნება მუნიციპალური, ადგილზე უფრო სწრაფად წავა პროცესები;
- ტყის გადაცემის შემთხვევაში მუნიციპალიტეტი სოციალურად დაუცველებს უზრუნველყობს შეშით. ამ ეტაპზე სოციალურად დაუცველებს მუნიციპალიტეტი აძლევს 100 ლარს შეშის შეძენის მიზნით, რაც არ არის საკმარისი;
- აღინიშნა, რომ ტყეების მოვლას მუნიციპალიტეტი ადგილზე გაცილებით უკეთ შეძლებს, ვიდრე ეს ცენტრიდან ხდება.

მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები ფიქრობენ, რომ ამ საკითხზე მუშაობის პროცესში სხვა ბევრი დადებითი მხარეც გამოჩნდება.

მუნიციპალიტიტებისთვის ტყის გადაცემას შესაძლოა ახლდეს შემდეგი რისკები:

- რთული იქნება საჭირო კადრების მოძიება;
- აუცილებელი იქნება კადრების გადამზადება;

- არსებული ბიუჯეტით შეუძლებელია ტყის მართვა, ამიტომ მუნიციპალიტეტმა სახელმწიფოსგან უნდა მიიღოს დამატებითი დაფინანსება;
- დროში დეტალურად უნდა გაიწეროს ტყის მართვასთან დაკავშირებული აქტივობები, რათა პროცესი სწორად წარიმართოს.
- მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნის გამოცდილების გაცნობა, მაგალითად იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იმართება მუნიციპალური ტყეები ევროპაში.

მერიის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ სოფლების მაცხოვრებლებს მეხსიერებაში აქვთ თუ რომელია მათი ტყე.

თელავის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობები ტყის პოტენციური მართვის კუთხით

<u>საკრებულოს ფუნქციები ბუნებრივ რესურსებთან მიმართებაში</u>

მიწათსარგებლობის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროები თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება[64], კერძოდ:

- ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების პროგრამების დამტკიცება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსების მართვის წესების დადგენა.

საკრებულოში შექმნილია სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისია. კომისია[65] წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომლის მიზანია საკრებულოში განსახილველი საკითხების წინასწარ მომზადება, საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლი. კომისია განიხილავს საკითხებს ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების პროგრამების პროექტების დამტკიცების, ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსების მართვის წესების დადგენის შესახებ.

<u>მერიის ინსტიტუციური მოწყობა და უფლებამოსილება</u>

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურა, მერიის თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებები და მუშაობის ორგანიზაცია განსაზღვრულია თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით[66]. დებულების თანახმად მერიას ხელმძღვანელობს მერი. დებულებაში არ არის განსაზღვრული მერის უფლებამოსილებები ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებით.

---

[64] თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N9 თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, 27 თებერვალი, 2019 წ.
[65] თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N12 თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, 22 დეკემბერი, 2017 წ.
[66] თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N03 თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ, 24 ნოემბერი 2017 წ.

მერია შედგება სტრუქტურული ერთეულებისგან – სამსახურებისაგან. მერიის სამსახურები, სამსახურის დებულების შესაბამისად, ფუნქციურ დანიშნულებათა მიხედვით შეიძლება დაიყოს ქვედანაყოფებად – განყოფილებებად. თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია 9 სამსახური. ტყის მართვასთან დაკავშირებული საკითხები არ შედის მერიის სამსახურების უფლებამოსილებებში.

მერი უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშნოს მერის წარმომადგენელი. მერის წარმომადგენელი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში. დანარჩენი სამიზნე მუნიციპალიტეტებისაგან განსხვავებით, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში არ არის მოცემული ინფორმაცია მერიის წარმომადგენლის ისეთ უფლებამოსილებებთან დაკავშირებით, რომლებიც ტყის მართვასთან/ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებს უკავშირდება.

<u>მერიის ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსები</u>

თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ირიცხება[67] 129 საშტატო ერთეული, რომელშიც შედიან მერიის ხელმძღვანელი პირები, სამსახურების ხელმძღვანელები და სპეციალისტები. გარდა ამისა, ადმინსტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულია 67 პირი, რომელშიც შედიან მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში (27) და სპეციალისტები ადმინისტრაციულ ერთეულში (40). **დებულება არ შეიცავს ინფორმაციას მერიაში ბუნებრივი რესურსების საკითხზე მომუშავე თანამდებობის პირის შესახებ.**

თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით,[68] ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვრა 33,910.60 ათასი ლარით და მოიცავს გადასახადებს (29,585.60 ათასი ლარი), გრანტებს (435.00 ათასი ლარი), რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, და სხვა შემოსავლებს (3,890.00 ათასი ლარი). კატეგორია „სხვა შემოსავლები“ მოიცავს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელს (250.0 ათასი ლარი 2023 წელს).

თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია 30,106.40 ათასი ლარით. ხარჯების გადანაწილება შემდეგია: სუბსიდიები (13,745.20 ათასი ლარი), საქონელი და მომსახურება (6,595.50 ათასი ლარი), შრომის ანაზღაურება (4,839.20 ათასი ლარი), სხვა ხარჯები (2,405.70 ათასი ლარი), სოციალური უზრუნველყოფა (1,901.80 ათასი ლარი). ხარჯების დანარჩენი ნაწილი მოდის პროცენტებზე და გრანტებზე.

თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 1,482.80 ათასი ლარი, საიდანაც 1,112.80 ათასი ლარი განსაზღვრულია დასუფთავების ღონისძიებებისთვის, 90.00 ათასი ლარი – გარემოს დაცვის ღონისძიებებისთვის. დაფინანსება გამოეყო თელავის მუნიციპალიტეტის

[67] თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N12 თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ, 8 თებერვალი, 2018 წ.

[68] თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N22 თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, 28 დეკემბერი 2022

მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურს და დაგეგმილია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამხმარი და საფრთხის შემცველი ხეების მოჭრა-ვარჯის ფორმირება; ქ. თელავში ისტორიული ჭადრის ხის ფიტოსანიტარული და სხვადასხვა სახის საკონსულტაციო მომსახურება და სხვა ღონისძიებები. პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებებისთვის განსაზღვრული 100.0 ათასი ლარი ასევე გამოეყო თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურს და დაგეგმილია დასასვენებელი პარკების, სკვერების და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობა.

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, მერიას არ გააჩნია ტყის მართვისათვის საჭირო ტექნიკური რესურსები.

4.2.4. ყვარელი

ტყე და ტყითსარგებლობა ყვარლის მუნიციპალიტეტში

ყვარლის მუნიციპალიტეტში ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის ქვეშაა 54,496 ჰა ტერიტორია, საიდანაც 49,591 ჰა ტყითაა დაფარული.[69]

სურათი. 7 ყვარლის მუნიციპალიტეტის ტყით დაფარულობის რუკა



წყარო: რუკა დამზადებულია FES კვლევისთვის[70] ზურა ჯანიაშვილის და ლაშა ძაძამიას მიერ

[69] წყარო: ეროვნული სატყეო სააგენტო, 2022

ყვარლის მუნიციპალიტეტის თანამშრომლების განცხადებით, მუნიციპალიტეტის ტყე ყველაზე კარგ მდგომარეობაშია რეგიონში და ეს ტყის კარგმა მოვლამ განაპირობა. ყვარლის მუნიციპალიტეტი კახეთში ტყის ფართობით მესამეა. მუნიციპალიტეტში ძირითადად ფოთლოვანი ტყეებია.

მუნიციპალიტეტში ტყის გამოყენება ძირითადად საშეშე რესურსის მიღების მიზნით ხდება. სამასალე მერქანი მცირე რაოდენობით მოიპოვება. ბოლო პერიოდში სახერხების რაოდენობა შემცირდა (ჯამში შესაძლოა 5 სამხერხაო იყოს მუნიციპალიტეტში).

ტყის არამერქნული პროდუქტებიდან ადგილობრივები მოიპოვებენ წაბლს, როგორც პირადი მოხმარების, ასევე რეალზაციის მიზნით.

ყვარლის მუნიციპალიტეტის თანამშრომლების აზრით, მუნიციპალიტეტში შემორჩენილია ტრადიცია, როდესაც ყველა სოფელს თავისი ტყე აქვს და სოფელი ცდილობს თავის ტყეში სხვა სოფლის მოსახლეობა არ შევიდეს.

ტყის მართვის ძირითადი ინტერესი, სარგებელი და რისკები

ყვარელი, ისევე როგორც სხვა მუნიციპალიტეტები ტყის მართვაში არ არის ჩართული. მერიის შემხებლობა ტყის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებთან მხოლოდ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის შეშის მომხმარებელი კომლების სიის მომზადებით და გადაცემით შემოიფარგლება. მერიამ რამდენიმე წლის წინ შეადგინა 12,000 კომლისაგან შემდგარი სია და გადასცა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს. პერიოდულად ხდება სიის დაზუსტება.

მუნიციპალიტეტის თანამშრომლების აზრით, ყვარლის მუნიციპალიტეტისთვის ტყის გადაცემას ექნება შემდეგი სარგებელი:

- ნაკლები ბიუროკრატია, ადგილობრივი მოსახლეობის მერქნით უზრუნველყოფის საკითხში. წინა პრაქტიკა, რომელიც გულისხმობდა დაზარალებული ადგილობრივებისთვის მუნიციპალური კომისიის დასკვნის საფუძველზე მასალის მიწოდებას, უკვე 5 წელია გაუქმდა. ამჟამად ეს პროცესი გართულებულია, რაც იწვევს მოსახლეობის უკამყოფილებას. მუნიციპალიტეტისთვის ტყის გადაცემის შემთხვევაში ეს პრობლემა მოგვარდება;
- მუნიციპალიტეტს ექნება სარეკრეაციო ზონების განვითარების შესაძლებლობა, ტყის იჯარით გაცემა, ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;
- მუნიციპალიტეტი ადგილზე უკეთ მოუვლის ტყეს.

შეხვედრის მონაწილეების მიერ დასახელდა ასევე ტყის გადაცემის რისკები, კერძოდ:

- ფინანსური საკითხი: არსებული ბიუჯეტით მუნიციპალიტეტი ტყეს ვერ მართავს. უნდა გამოიყოს ფინასები ცენტრალური ბიუჯეტიდან;
- კადრების გადამზადება რთულია, თუმცა შესაძლებელი. ამისთვის გამოყენებული უნდა იქნას კაჭრეთის კოლეჯის რესურსი;

[70] ტყის ეკოსისტემური სერვისები და ბენეფიციარები, Eco.Georgia, GIZ, 2022

- ტყის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის შემთხვევაში, ცენტრალურ დონეზე უნდა არსებობდეს მუნიციპალიტეტების მიერ ტყის მართვის სტრატეგია;
- მუნიციპალიტეტის არასაკმარისი შესაძლებლობები;
- მუნიციპალური ტყეებიდან ადგილობრივი მოსახლეობის შეშით მომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემა;
- ტყის ინვენტარიზაციის არარსებობა.

მუნიციპალიტეტის თანამშრომლების აზრით, აუცილებელია გაიმიჯნოს სახელმწიფო (ცენტრალურ დონეზე სამართავი ტყე) და მუნიციპალური ტყე და მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობა. შესამუშავებელია ასევე მუნიციპალური ტყეების კონცეფცია. მუნიციპალური ტყის მართვისას უმნიშვნელოვანესია დონორების დახმარება – უნდა შეიქმნას მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, უნდა გადამზადდნენ კადრები, შემუშავდეს ტყის მართვის გეგმა.

ყვარლის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობები ტყის პოტენციური მართვის კუთხით

<u>საკრებულოს უფლებამოსილება ბუნებრივ რესურსებთან მიმართებაში</u>

მიწათსარგებლობის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროები ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება[71], კერძოდ:

- ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების პროგრამების დამტკიცება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსების მართვის წესების დადგენა.

საკრებულოში შექმნილია სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია. კომისია[72] წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომლის მიზანია საკრებულოში განსახილველი საკითხების წინასწარ მომზადება, საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლი. კომისია განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების პროგრამების პროექტების დამტკიცების და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსების მართვის წესების დადგენის შესახებ.

<u>მერიის ინსტიტუციური მოწყობა და უფლებამოსილება</u>

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურის, მერიის თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებების და მუშაობის ორგანიზაციის

[71] ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N15 ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, 3 მაისი, 2022 წ.

[72] ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N15 ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, 25 ივლისი, 2014 წ.

საფუძველია ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება[73]. დებულების თანახმად, მერია შედგენა მერიის უმაღლესი თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულებისაგან – სამსახურებისაგან (სულ 10 სამსახური).

დებულება არ შეიცავს მერიის უმაღლესი თანამდებობის პირებისა და მერიის სამსახურების ტყესთან/ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ნორმებს. ის ნორმებიც, რომლებიც ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის უფლებამოსილებებს უკავშირდება, არ არის გამოკვეთილი ხე–ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის საკითხი (დანარჩენი სამიზნე მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით) და მხოლოდ ზოგადი ჩანაწერით შემოიფარგლება: მერის წარმომადგენლის უფლებამოსილებაა დაამოწმოს ყვარლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში საქონლის ადგილწარმოშობის შესახებ ცნობა.

<u>ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსები</u>

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიაში ირიცხება[74] 86 საშტატო ერთეული, რომელშიც შედიან მერიის ხელმძღვანელი პირები და სამსახურების ხელმძღვანელები და სპეციალისტები. **საშტატო ნუსხის თანახმად, მერიის ზედამხედველობის სამსახურში ირიცხება მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბუნებრივი რესურსების საკითხებში (2).** გარდა ამისა, მერიაში ადმინსტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულია 36 პირი (მერის წარმომადგენლები და სპეციალისტები ადმინისტრაციულ ერთეულებში).

ყვარლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით,[75] ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვრა 16,193.5 ათასი ლარით და მოიცავს გადასახადებს (15,229.6 ათასი ლარი), გრანტებს (385.0 ათასი ლარი), რომელიც გულისხმობს მიზნობრივ ტრანსფერებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, და სხვა შემოსავლებს (578.9 ათასი ლარი). კატეგორია „სხვა შემოსავლები“ ცალკე ქვეკატეგორიად არ მოიხსენიებს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელს.

ყვარლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია 15,753.1 ათასი ლარით. ხარჯების გადანაწილება შემდეგია: სუბსიდიები (9,228.4 ათასი ლარი), შრომის ანაზღაურება (3,026.3 ათასი ლარი), საქონელი და მომსახურება (2,072.9 ათასი ლარი), სოციალური უზრუნველყოფა (930.0 ათასი ლარი). ხარჯების დანარჩენი ნაწილი მოდის სხვა ხარჯებზე, პროცენტებზე და გრანტებზე.

ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 1,562.5 ათასი ლარი, საიდანაც 1 237,1 ათასი ლარი განსაზღვრულია დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის ღონისძიებებისთვის, **ხოლო 270.4 ათასი ლარი – მწვანე ნარგავების მოვლა–პატრონობისა**

[73] ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N6 ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ, 18 იანვარი 2018 წ.
[74] ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N11 ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ, 1 აპრილი, 2019 წ.
[75] ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N32 ყვარლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, 22 დეკემბერი 2022

და განვითარებისთვის. დაფინანსება გამოეყო ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახურს“. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა.

ყვარლის მუნიციპალიტეტის ტექნიკური რესურსები შეზღუდულია. ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახურს ჰყავს სულ 46 თანამშრომელი (მუშების ჩათვლით). სამსახურის ძირითადი საქმიანობებია ხემცენარეებისა და ბუჩქების გასხვლა–ფორმირება, შემობარვა, გადაბელვა, დარგვა (მცირე მასშტატბებით) მორწყვა, დალაგება/დასუფთავება. სამსახურს ჰყავს 5 ნაგავმზიდი და 2 კომბოს ტიპის მანქანა. რაც შეეხება აღჭურვილობას, ესენია: ბუჩქების საკრეჭი, ბენზოხერხი, ბენზოსათიბელა, სასხლავი მაკრატლები, ხერხი, ფოცხი, სპეცტანსაცმელი აქვთ.

4.3. მცხეთა–მთიანეთი

4.3.1. თიანეთი

ტყე და ტყითსარგებლობა თიანეთის მუნიციპალიტეტში

თიანეთის მუნიციპალიტეტში ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის ქვეშაა 49,489 ჰა ტერიტორია, საიდანაც 45,035 ჰა ტყითაა დაფარული.[76]

სურათი. 8 თიანეთის მუნიციპალიტეტის ტყით დაფარულობის რუკა

[76] წყარო: ეროვნული სატყეო სააგენტო, 2022



წყარო: რუკა დამზადებულია FES კვლევისთვის[77] ზურა ჯანიაშვილის და ლაშა ძაძამიას მიერ

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების აზრით, თიანეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული ტყე მეტ–ნაკლებად ნორმალურ მდგომარეობაშია. ტყის მერქნულ რესურსს მოსახლეობა ძირითადად საშეშედ იყენებს. მუნიციპალიტეტის დიდი ნაწილი გაზიფიცირებულია და პროცესი ამ ეტაპზეც მიმდინარეობს. დაბების მოსახლეობა ცდილობს, რომ ნელ–ნელა გადავიდეს ბუნებრივი აირით გათბობაზე, რაც შეშაზე მოთხოვნას შეამცირებს.

არამერქნული რესურსები საკმაოდ მნიშვნელოვანია თიანეთის მოსახლეობისათვის. ყოველი მესამე–მეოთხე ოჯახი აგროვებს სოკოს, ასკილს, ქაცვს, მაყვალს, შინდს, პანტას, მოცვს, ტყემალს. შეგროვება ხდება ძირითადად პირადი მოხმარებისთვის. თიანეთში ფუნქციონირებს საწარმო „თიანეთის ნობათი“, რომელიც ამზადებენ და ყიდის სხვადასხვა სახეობის ჩირებს, ვაშლის ჯემს, საწებელს.

ტყის მართვის ძირითადი ინტერესი, სარგებელი და რისკები

[77] ტყის ეკოსისტემური სერვისები და ბენეფიციარები, Eco.Georgia, GIZ, 2022

მუნიციპალიტეტის მერმა გამოთქვა მზაობა თიანეთის მუნიციპალიტეტი ჩაერთოს ტყის გადაცემის პროცესში. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მერიის ჩართულობა ტყის ინვენტარიზაციის პროცესში. თიანეთის მუნიციპალიტეტისათვის ტყის გადაცემის დადებით მხარეებად დასახელდა შემდეგი:

- ტყის საზღვრების დაზუსტება, რაც გამოიწვევს ადგილობრივი მოსახლეობისთვის პრობლემური საკთხების დაზუსტება და მოგვარება. მაგალითად სატყეო ტერიტორიების ნაწილთან დაკავშირებით ადგილობრივებს აქვთ „მამა-პაპისეული“ საკუთრების პრეტენზია;
- თიანეთის მუნიციპალიტეტის მერის აზრით, ტყეკაფების გამოყოფა სოფლებიდან მოშორებით ხდება. ეს ხდება განსაკუთრებით ერწო-თიანეთში, შესაბამისად მოსახლეობას ძვირი უჯდება გამოყოფილი ტყეკაფებიდან შეშის მოტანა და არალეგალურად მოიპოვებენ შეშას. მუნიციპალიტეტისთვის ტყეების გადაცემის შემთხვევაში ტყეკაფებას გამოყოფა მოხდება მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე;
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დაკმაყოფილება შეშით და საჭირო სამასალე მერქნით;
- ტყის გარკვეული მასივების ტურისტული მიზნებით გამოყენება.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების განცხადებით, მათ აქვთ წარმოდგენა გარკვეულ სატყეო ტერიტორიებზე, რომლებიც შეიძლება გადაეცეთ, ან იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება გადაცემა, ცენტრალურმა უწყებებმა გაითვალისწინონ მუნიციპალიტეტის მოსაზრებები ამ ტყეების მართვასთან დაკავშირებით. დასახელდა საბადურის ტყის მოვლა-დასუფთავების საკითხი. მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, უნდა გაირკვეს თუ ვინ უნდა მოუაროს ამ ტყეს და სახელმწიფომ და მუნიციპალიტეტმა უნდა ითანამშრომლონ ამ მიმართულებით (მაგ. ერთობლივი გეგმის შემუშავება). მსგავსი მიდგომა იქნება ასევე საჭირო „ხაწილის ტყე-პარკის“ და სხვა ტყე-პარკების შემთხვევაში, სადაც ეკო-ტურიზმის განვითარებაა შესაძლებელი.

თიანეთის მუნიციპალიტეტის მერის აზრით, მუნიციპალიტეტისთვის ტყის გადაცემას თან ახლავს შემდეგი რისკები:

- ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტი არ არის მზად ტყის გადასაცემად: არ არის შესაბამისი ფინანსები, არის კადრების პრობლემა, მუნიციპალიტეტს არ აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამიტომ გადაცემა უნდა მოხდეს ეტაპობრივად, რაც მუნიციპალიტეტს მისცემს მომზადების საშუალებას;
- კორუფციულ გარიგებებთან დაკავშირებული რისკები: დასახელდა მეტყევეების მიერ შეშის გამოყოფა „ახლობლურად“ (მერის განცხადებით, აქ მაინცდამაინც არ უნდა ვიგულისხმოთ კორუფცია, შესაძლოა ეს დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ მათ, ვისაც არ აქვს შეშის ყიდვის შესაძლებლობა, შესაძლოა მეტყევეებს სთხოვონ უფასოდ შეშის მოპოვება);
- მოსახლეობის ცნობიერება, რაც გულისხმობს იმას, რომ მუნიციპალიტეტისთვის ტყის გადაცემის შემთხვევაში მოსახლეობამ ის შესაძლოა „თავისად“ აღიქვას და ნაკლებად გაუფრთხილდეს. საჭირო იქნება ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.

თიანეთის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობები ტყის პოტენციური მართვის კუთხით

საკრებულოს ფუნქციები ბუნებრივ რესურსებთან მიმართებაში

მიწათსარგებლობის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროები თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება[78], კერძოდ:

- ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების პროგრამების დამტკიცება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსების მართვის წესების დადგენა.

საკრებულოში შექმნილია სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია. კომისია[79] წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომლის მიზანია საკრებულოში განსახილველი საკითხების წინასწარ მომზადება, საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლი. კომისია განიხილავს და წარმოადგენს დასკვნებს:

- მოსახლეობისათვის საშეშე და სამასალე მერქნის გამოყოფის საკითხების შესახებ;
- ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების პროგრამების პროექტების დამტკიცების შესახებ;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვის წესების დადგენის შესახებ;

მერიის ინსტიტუციური მოწყობა და უფლებამოსილებები

თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურის, მერიის თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებებისა და მუშაობის ორგანიზაციის საფუძველია თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება[80]. დებულების თანახმად, მერი არის მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი. დებულებაში არ არის გამოკვეთილი მერის უფლებამოსილებები ბუნებრივი რესურსების მართვის კუთხით.

მერია შედგება მერიის სტუქტურული ერთეულებისაგან – სამსახურებისაგან; სულ შექმნილია 10 სუტუქტურული ერთეული (სამსახური). **გარემოს დაცვასა და ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული საკითხები სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის – სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსებისა და ტრანსპორტის განყოფილების კომპეტენციას განეკუთვნება.**

დებულების თანახმად, მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში გასცემს საქონლის ადგილწარმოშობისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ცნობებს მოთხოვნის შესაბამისად.

---

[78] თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N22 თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, 21 დეკემბერი, 2021 წ.

[79] თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N28 თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, 11 დეკემბერი, 2017 წ.

[80] თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N41 თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ, 08 იანვარი 2018 წ.

<u>მერიის ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსები</u>

თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიაში ირიცხება[81] 63 საშტატო ერთეული, რომელშიც შედიან მერიის ხელმძღვანელი პირები და სამსახურების ხელმძღვანელები და სპეციალისტები. **სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის მეორად სტრუქტურულ ერთეულში – სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსებისა და ტრანსპორტის განყოფილებაში ირიცხება მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსებისა და ტრანსპორტის საკითხებში (1).** ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულია 29 პირი, რომელშიც შედიან მერის წარმომადგენლები და სპეციალისტები ადმინისტრაციულ ერთეულში.

თიანეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით[82] ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვრა 9,724.8 ათასი ლარით და მოიცავს გადასახადებს (9,104.8 ათასი ლარი), გრანტებს (260.0 ათასი ლარი), რომელიც გულისხმობს მიზნობრივ ტრანსფერებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, და სხვა შემოსავლებს (360.0 ათასი ლარი). კატეგორია „სხვა შემოსავლები“ მოიცავს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელს (320,0 ათასი ლარი 2023 წელს).

თიანეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია 9,025.7 ათასი ლარით. ხარჯების გადანაწილება შემდეგია: სუბსიდიები (4,415.4 ათასი ლარი), შრომის ანაზღაურება (2,470.7 ათასი ლარი), საქონელი და მომსახურება (1,265.5 ათასი ლარი), სოციალური უზრუნველყოფა (630.9 ათასი ლარი). ხარჯების დანარჩენი ნაწილი მოდის სხვა ხარჯებზე, პროცენტებზე და გრანტებზე.

თიანეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 623.9 ათასი ლარი (მწვანე ნარგავების დარგვის და მოვლა-პატრონობის და გარემოს დასუფთავებისთვის). აქედან 611.9 ათასი ლარი განსაზღვრულია დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის ღონისძიებებისთვის, ხოლო 12.0 ათასი ლარი – მწვანე ნარგავების მოვლა–პატრონობისა და განვითარებისთვის. დაფინანსება გამოეყო ააიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურს.

თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ა.(ა).ი.პ „თიანეთის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურში“ ამჟამად დასაქმებულია 72 თანამშრომელი, მათ შორის 14 მუშა. სამსახურს ჰყავს 2 ნაგავმზიდი (Isuzu), აგრეთვე ექსკავატორ-დამტვირთველი და გრეიდერი, რომლებიც თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიიდან თხოვების ფომით აქვს გადმოცემული. მუნიციპალიტეტის მწვანე ნარგავებთან და ქარსაფარ ზოლებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს გეგმავს თიანეთის მუნიციპალიტეტის მერია, მერის წარმომადგენლებთან კონსულტაციის საფუძველზე.

[81] თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N14 თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ, 22 იანვარი, 2018 წ.

[82] თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N18 თიანეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, 16 დეკემბერი 2022

გადაბელვის სამუშაოებს „თიანეთის კეთილმოწობისა და დასუფთავების სამსახურის მუშები ახორციელებენ (ბენზოხერხით). სამსახურს დაქირავებული ჰყავს თვითმცლელი, რომლის საშუალებითაც ხდება გადაბელილი ხეებიდან ნარჩენების (ტოტების) გატანა. გადაბელვებზე ზედამხედველობას ახორციელებს ააიპ „თიანეთის კეთილმოწობისა და დასუფთავების სამსახური“.

5. შეთავაზებები ტყის მართვის ორგანოსთან დაკავშირებით

5.1. ტყის მართვის ორგანოს შექმნის საფუძველი

საქართველოს ტყის კოდექსის თანახმად, მუნიციპალური ტყის მართვის ორგანოს ქმნის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.[83] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი[84] განმარტავს მუნიციპალიტეტების საკუთარ და დელეგირებულ უფლებამოსილებებს[85]. კოდექსი ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის რესურსების მართვას მოიაზრებს „მუნიციპალიტეტების საკუთარ უფლებამოსილებად“ – ის უფლებამოსილება, რომელსაც ის დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს.[86] დელეგირებისას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანომ მუნიციპალიტეტს შეიძლება გადასცეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ის უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელებაც ადგილობრივ დონეზე უფრო ეფექტიანია. მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების დელეგირება შესაძლებელია სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით. დელეგირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.[87]

მუნიციპალიტეტებს უფლება აქვთ, თავიანთი საქმიანობის კოორდინაციის და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნონ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ან/და გახდნენ მისი წევრები.[88] მუნიციპალიტეტებს ასევე აქვთ უფლება, უფლებამოსილებათა ეფექტიანი განხორციელებისა და მოსახლეობისთვის ხარისხიანი მომსახურების გაწევის მიზნით, დააფუძნონ ერთობლივი კერძო სამართლის

[83] საქართველოს კანონი საქართველოს ტყის კოდექსი 2020, მუხლი 21. პუნქტი 4

[84] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი https://matsne.gov.ge/document/view/2244429?publication=54

[85] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 2014. მუხლი 15

[86] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი 2014, მუხლი 15 „მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სახეები“, პუნქტი 2; მუხლი 16 „მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებანი“, 2 (გ)

[87] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 2014. მუხლი 17

[88] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 2014. მუხლი 20

იურიდიული პირი. მუნიციპალიტეტები უფლებამოსილნი არიან შექმნან ერთობლივი სამსახური. ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, სხვა მუნიციპალიტეტთან დადოს ხელშეკრულება საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ (ამის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებენ მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ორგანოები მუნიციპალიტეტების საკრებულოების თანხმობით).[89]

5.2. ტყის მართვის გამოცდილება ახმეტის მუნიციპალიტეტის მაგალითზე

სამიზნე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ჩატარებულ ფოკუს–ჯგუფურ დისკუსიების შედეგების მიხედვით, მუნიციპალური ტყეების გადაცემის შემთხვევაში საჭირო იქნება მართის ორგანოს – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (ააიპ) დაარსება, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

დღესდღეობით სამიზნე მუნიციპალიტეტები (ახმეტის მუნიციპალიტეტის გარდა) არ მართავენ ტყეს. მათი გამოცდილება ძირითადად შემოიფარგლება მუნიციპალიტეტების მწვანე ნარგავების მოვლა–პატრონობით, რასაც უმეტეს შემთხვევაში მუნიციპალური ააიპ ახორციელებს. ააიპ–ების წარმომადგენლებთან ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ ყველა მათგანი განიცდის საჭირო ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსის ნაკლებობას.

ტყის მართვის გამოცდილების კუთხით გამონაკლისია ახმეტის მუნიციპალიტეტი, რომელიც თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტყის მართვას ახორციელებს ააიპ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის მეშვეობით (დაარსდა 2011 წელს). თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია ახდენს თუშეთში ადგილობრივი მოსახლეობისთვის საშეშე და სამასალე მერქნის გაცემას და დამზადებას, 2019 წელს დამტკიცებული ტყის მართვის გეგმის მიხედვით. ადმინისტრაციას აქვს სპეციალიზირებული სატყეო ტრაქტორი, რომელიც 2018 წელს ჩეხეთის განვითარების სააგენტომ შეუძინა. გარდა ამისა, ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ჩეხეთში, ქალაქ ბრნოს სატყეო ინსტიტუტში გაიარეს სპეციალური მომზადება ხე-ტყის დამზადების და ტექნიკის უსაფრთხოდ გამოყენების საკითხებზე. ამჟამად ტრაქტორს აქტიურად იყენებენ ტყიდან ხე-ტყის გამოსაზიდად. 2019 წელს GIZ/IbiS - ის დაფინანსებით სოფელ ომალოში მოეწყო თანამედროვე სტანდარტების სახერხი საამქრო და საქმიანი ეზო, ასევე შეძენილი იქნა ხის დასამუშავებელი დაზგა. საამქრო ემსახურება ადგილობრივ მოსახლეობას, თუმცა მის მომსახურებაზე მოთხოვნა დაბალია (მაგალითად, 2021 წელს სულ 22 $მ^3$ მერქანი გადამუშავდა). ხე-ტყის დამზადებას და საამქროში მის გადამუშავებას ახორციელებენ რეინჯერები, რომლებსაც ადმინისტრაცია ამ საქმიანობისთვის უხდის დამატებით ანაზღაურებას.[90]

[89] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 2014. მუხლი 21
[90] თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტყის მართვის გეგმა, 2022 (არ არის დამტკიცებული).

2023 წლის მდგომარეობით თუშეთის დაცული ლანდშაფტის მართვისათვის[91] ადმინისტრაციას ჰყავს 19 თანამშრომელი (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის საშტატო ნუსხა, 2023 წ.

#	თანამდებობის დასახელება	საშტატო რიცხოვნობა
1	დირექტორი	1
2	ბუნებრივი რესურსების მართვის სამსახურის უფროსი	1
3	ბუნებრივი რესურსების მართვის სპეციალისტი	1
4	ბიომრავალფეროვნების და ეკოგანათლების სპეციალისტი	1
5	რეინჯერი	7[92]
6	დაგეგმვის და განვითარების სამსახურის უფროსი	1
7	ტურიზმის განვითარების და საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) სპეციალისტი	1
8	ინფრასტრუქტურის განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტი	1
9	შრომის უსაფრთხოების და ტექნიკური საშუალებების კონტროლის სპეციალისტი	1
10	იურისტი	1
11	შესყიდვების სპეციალისტი	1
12	ბუღალტერი	1
13	საქმის მწარმოებელი	1
	სულ	19

წყარო: აიპ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია

თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის დაფინანსების ძირითად წყაროს ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს, რომელიც სუბსიდიის სახით გამოყოფს გარკვეულ თანხებს. გარდა ამისა ადმინისტრაციას აქვს საკუთარი შემოსავლები ხე-ტყის გაცემის მომსახურებიდან და გადამუშავებიდან, ასევე ფინანსური შემოსულობები სხვადასხვა ორგანიზაციებიდან გრანტების და დახმარებების სახით. ბოლო წლებში ყველაზე მსხვილი კონტრიბუტორი დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციისთვის იყო GIZ/IBiS და USAD/ZRDA. 2021 წლიდან თუშეთის დაცული ლანდშაფტის დაფინანსება დაიწყო კავკასიის ბუნების ფონდმა (CNF). საქართველოს მთავრობამ #2349 (27.12.2021) განკარგულებით მუნიციპალიტეტს მისცა თანხმობა CNF-გან გრანტის მიღებაზე - ა(ა)იპ - თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის საოპერაციო გეგმის (2021 – 2023 წ.წ.) დაფინანსების მიზნით არაუმეტეს 200,000 ევროს

[91] ადმინისტრაციის ფუნქციებში შედის ასევე ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მართვა, რომლისთვისაც იქმნება ცალკე განყოფილება და უნდა მოხდეს 3 თანამშრომლის დაქირავება.

[92] დამატებულია კიდევ 2 რეინჯერის შტატი.

ექვივალენტი ლარის რაოდენობით. დეტალური ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ, მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2. თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის დაფინანსების წყაროები

დაფინანსების წყარო	წლები, ლარი		
	2020	2021	2022
მუნიციპალური ბიუჯეტი	254,300	31,700	361,000
საკუთარი შემოსავლები	77,602	24,052	30,000
CNF			164,750
დაფინანსების სხვა წყაროები		838 (ZRDA)	
ჯამი	259,423	331,788	555,750

წყარო: თუშეთის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმა (არ არის დამტკიცებული)

2023 წელს თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციას ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტიდან გამოეყო 553.2 ათასი ლარი. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, მიუხედავად მუნიციპალიტეტიდან გამოყოფილი თანხებისა და სხვა შემოსავლის წყაროების არსებობისა, ასევე, მიუხედავად არსებული საშტატო ერთეულების ოპტიმიზაციის მცდელობებისა, თუშეთის დაცული ლანდშაფტის მართვის პროცესში მაინც უამრავი პრობლემაა, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსების ნაკლებობასთან.

5.3. შეთავაზება ტყის მართვის და კონტროლის მუნიციპალურ ორგანოებთან დაკავშირებით

მუნიციპალური ტყის მართვის ორგანო უნდა დაკომპლექტდეს კვალიფიციური კადრებისაგან, რომელსაც უხელმძღვანელებს გამოცდილი სპეციალისტი ტყის რესურსების მართვის სფეროში. მუნიციპალური ტყის მართვის ორგანოს თანამშრომელთა საშტატო განრიგი, საჭირო ფინანსური და მატერიალურ–ტექნიკური რესურსები ყოველი კონკრეტული მუნიციპალიტეტის შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს და დამოკიდებული იქნება გადაცემული ტყის ფართობზე და ტყის მართვის გეგმით განსაზღვრულ პრიორიტეტებზე. თუმცა, მე–3 ცხრილში მოცემულია ის პოზიციები, რომლებიც საერთოა ყველა ტყის მართვის ორგანოსთვის:

ცხრილი 3. მუნიციპალური ტყის მართვის ორგანოს ძირითადი საშტატო ნუსხა (სავარაუდო)

#	თანამდებობის დასახელება	საშტატო რიცხოვნობა	ხელფასი (თვე დარიცხული)[93]

[93] ხელფასები დაანგარიშებულია ააიპ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის თანამშრომლების ხელფასების მიხედვით, 2023 წლის მდგომარეობით

1	დირექტორი	1	2 000
2	მთავარი მეტყევე	1	1 650
3	მეტყევე	1[94]	1 100
4	მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების სპეციალისტი	1	1 100
5	ტყის მოვლა–აღდგენის სპეციალისტი	1	1 100
6	ენტომოლოგი/ფიტოპათოლოგი	1	1 100
7	ეკონომისტი	1	1 100
8	ბუღალტერი	1	1 100
9	საქმის მწარმოებელი	1	950
10	ჯამი		11 200

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტებმა უნდა უზრუნველყონ ტყის მართვის პროცესის ეფექტიანი კონტროლი (მუნიციპალიტეტების თანამშრომლების აზრით, ამ პროცესს თან ახლავს კორუფციის რისკი). ტყის კოდექსის თანახმად, ტყის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვისა და მუნიციპალური ტყის დაცვის სფეროში საზედამხედველო ფუნქციას ახორციელებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ შექმნილი უფლებამოსილი ორგანო.[95]

ფოკუს–ჯგუფური დისკუსიებისას გამოთქმული იყო მოსაზრება მერიის ზედამხადველობის სამსახურის გაძლიერებასთან, ასევე ერთობლივი კონტროლის დანერგვასთან დაკავშირებით, სადაც მუნიციპალიტეტს დაეხმარებიან შესაბამისი ცენტრალური სამსახურები (გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი).

ტყის მართვის კონტროლის განსახორციელებლად, ტყის კოდექსის მიხედვით, თითოეული მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ტყის დაცვის სფეროში საზედამხედველო ორგანოს შექმნის შესახებ. ფუნქციების გამიჯვნის პრინციპის გათვალისწინებით, სასურველია ზედამხედველობის ფუნქცია არ შედიოდეს ტყის მართვის ორგანოს კომპეტენციებში. რეკომენდებულია, რომ მუნიციპალური ტყის მართვის კონტროლის ორგანოს ფუნქციები შეითავსოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა და ამ მიზნებისთვის მას დაემატოს შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების, საჭირო რაოდენობის თანამშრომლები. თანამშრომელთა რაოდენობა და ბიუჯეტი უნდა განისაზღვროს მუნიციპალური ტყის მართვის გეგმის და გადაცემული მუნიციპალური ტყის ფართობიდან გამომდინარე.

[94] ტყის მცველთა ზუსტი რაოდენობა უნდა განისაზღვროს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.
[95] საქართველოს კანონი საქართველოს ტყის კოდექსი 2020, მუხლი 22. პუნქტი 1

6. დასკნები და რეკომენდაციები

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ნათელია, რომ დღეისათვის მუნიციპალიტეტების მერიების შესაძლებლობები ტყის მართვის კუთხით მინიმალურია: არ არის შექმნილი სპეციალური სამსახურები, რომლებიც ტყესთან ან/და ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ. უმეტესი სამიზნე მუნიციპალიტეტების მერიებში დასაქმებულია 1 ადამიანი, რომლის ფუნქციებშიც შედის ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობების განხორციელება. თუმცა ტყესთან და ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული საქმიანობები მერიის კომპეტენციას არ განეკუთვნება. ერთადერთი გამონაკლისია ახმეტის მუნიციპალიტეტი, რომელიც მართავს თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტყეებს და შესაბამისად, გარკვეული გამოცდილება აქვს ტყის მართვის კუთხით.

რაც შეეხება საკრებულოებს, მათს კომპეტენციაში შედის მიწათსარგებლობის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროები, რომლებიც მოიცავს ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების პროგრამების დამტკიცებას და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსების მართვის წესების დადგენა. საკრებულოებში შექმნილია კომისიები (სხვადასხვა სახელწოდებებით), რომლების კომპეტენციებშიც შედის ტყითსარგებლობისა (ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საშეშე რესურსით სარგებლობის) და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყესთან დაკავშირებული დასკვნების მომზადება. თუმცა მსგავსი დასკვნა ვერ იქნა მოძიებული სამიზნე მუნიციპალიტეტებში.

მუნიციპალური ტყის გადაცემის საკითხისადმი მზაობის თვალსაზრისით, სამიზნე მუნიციპალიტეტები შეიძლება პირობითად ორ ჯგუფად დაიყოს:

პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან ის *<u>მუნიციპალიტეტები, რომლებიც დადებითად არიან განწყობილი მუნიციპალური ტყეების გადაცემის საკითხის მიმართ</u>*: ჩოხატაური, ოზურგეთი, დედოფლისწყარო, თელავი, ყვარელი და თიანეთი. ტყის გადაცემას ბევრი დადებითი მხარე აქვს და ამ მუნიციპალიტეტებისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის სარგებლის მომტანი იქნება. თუმცა ყველა ეს მუნიციპალიტეტი სიფრთხილით ეკიდება ტყეების გადაცემის საკითხს და თანახმაა პროცესებში ჩაერთოს მხოლოდ გარკვეული პირობებით, როგორიცაა მუნიციპალიტეტის უზრუნველყოფა ტყის მართვისათვის საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსებით და მატერიალურ–ტექნიკური ბაზით, ასევე დონორების მხარდაჭერა მუნიციპალური ტყის მართვის გეგმების შემუშავებისა და ადგილებზე ტყის მართვის სისტემის ჩამოყალიბების პროცესში. აღინიშნა, რომ ეს არის ის მინიმალური პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტებში ტყის მართვასთან დაკავშირებული შესაძლებლობების შექმნას.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან ის *<u>მუნიციპალიტეტები, რომლებიც მუნიციპალური ტყეების გადაცემას დამატებით ტვირთად აღიქვავენ:</u>* ეს დამოკიდებულება გამოვლინდა ახმეტისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში. ამ ორი მუნიციპალიტეტისათვის იმ პირობებში, როდესაც არ აქვთ საჭირო შესაძლებლობები, ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსები, ტყის გადაცემა დამატებითი ტვირთია. გარდა ამისა, ტყის მართვის პროცესში დიდია კორუფციის რისკები და რთულია ეფექტური კონტროლის მექანიზმების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტების მიმდებარე ტყეების ცუდი

მდგომარეობა მუნიციპალიტეტებისთვის უფრო მეტ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, ვიდრე სარგებელთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია:

- სამიზნე მუნიციპალიტეტების ჩართულობა „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის“ განსაზღვრის კრიტერიუმების და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის წესის შემშავების პროცესში;
- მუნიციპალიტეტებთან კონსულტაციების საფუძველზე, მუნიციპალიტეტებისთვის პოტენციურად გადასაცემი ტყის ტერიტორიების იდენტიფიცირება;
- მუნიციპალიტეტთან აქტიური კომუნიკაცია ტყის გადაცემის დადებით და უარყოფით მხარეებთან დაკავშირებით;
- მუნიციპალიტეტებისთვის ტყის გადაცემის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის ჩატარება (ყოველი მუნიციპალიტეტისთვის ინდივიდუალურად);
- მუნიციპალური ტყის მართვის ორგანოს შექმნის შეფასება, რომელიც უნდა მოიცავდეს ტყის მართვის ორგანოს სტრუქტურას, ადამიანურ, ფინანსურ და ტექნიკურ რესურსებს გადაცემული ტყის ფართობიდან და ტყის მართვის გეგმიდან გამომდინარე;
- მუნიციპალური ტყის მართვის ორგანოს შექმნისა და ტყის მართვისათვის საჭირო ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის მხარდაჭერა;
- მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაძლიერება ტყის მართვის საკითხებზე: მუნიციპალური ტყის მართვის ორგანოებისთვის თეორიული და პრაქტიკული სწავლებების ორგანიზება (სხვადასხვა თემატიკის) და ტყის მართვის ეროვნული თუ საერთაშორისო გამოცდილების გაცნობის მიზნით სხვადასხვა პროგრამებში მათი მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტებს შორის კოორდინაციის ხელშეწყობა მუნიციპალური ტყის გადაცემისა და მართვის საკითხებზე;
- მუნიციპალური ტყის მართის წესის შემუშავების და დამტკიცების ხელშეწყობა;
- მუნიციპალური ტყის მართვის გეგმაში გაწერილი ქმედებების განხორციელების მხარდაჭერა;
- ტყის გადაცემის შემთხვევაში რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და შესაბამისი შემარბილებელი ღონისზიებების შემუშავება/განხორცილება.

7. ბიბლიოგრაფია

- ტყის ეკოსისტემური სერვისები და ბენეფიციარები, Eco.Georgia, GIZ, 2022
- თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტყის მართვის გეგმა, 2022 (არ არის დამტკიცებული)
- საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია, საქართველოს პარლამენტის დადგენილება #1742-1, 2013 წელი
- საქართველოს კანონი საქართველოს ტყის კოდექსი, N5949-სს, 2020;
- საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, N1958-IIს, 2014;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N496 „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე, 2021;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N427 საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემის, კატეგორიზაციისა და მონიტორინგის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე, 2021;
- საქართველოს მთავრობის N105 დადგენილება „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის განსაზღვრის წესის შესახებ”, 2007.
- საქართველოს კანონი თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ, N2086, 2003
- საქართველოს კანონი არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ, 7102-Iს, 2020
- საქართველოს კანონი მაჭახელას დაცული ლანდშფტის შექმნისა და მართვის შესახებ, 1818-IXმს-Xმპ, 2022.
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N9 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, 29 აპრილი, 2022 წ.
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N31 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ, 21 დეკემბერი 2017 წ.
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N3 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ, 17 იანვარი 2022 წ.
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N31 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ, 27 დეკემბერი 2022
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N15 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, 30 მარტი, 2018 წ.
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N52 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, 27 დეკემბერი, 2017 წ.
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N21 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ, 28 ივნისი 2022
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N38 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა

საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ, 25 დეკემბერი 2017 წ.

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N37 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, 22 დეკემბერი 2022
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, 27 ნოემბერი, 2017 წ.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N13 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, 14 დეკემბერი, 2017 წ.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N22 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ, 29 ნოემბერი 2019 წ.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N19 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ, 29 აპრილი 2022 წ.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N33 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, 23 დეკემბერი 2022
- ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N26 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, 2 მარტი, 2022 წ.
- ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N42 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, 4 მაისი, 2022 წ.
- ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N54 ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ, 3 აგვისტო 2022 წ.
- ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N29 ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ, 6 აპრილი, 2022 წ.
- ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N62 ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, 22 დეკემბერი 2022
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N13 დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, 14 ივლისი, 2014 წ.
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N23 დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, 24 ივლისი, 2014 წ.
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N27 დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ, 8 დეკემბერი 2017 წ.

- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N13 დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ, 30 სექტემბერი, 2022 წ.
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N23 დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, 23 დეკემბერი 2022
- თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N9 თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, 27 თებერვალი, 2019 წ.
- თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N12 თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, 22 დეკემბერი, 2017 წ.
- თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N03 თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ, 24 ნოემბერი 2017 წ.
- თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N12 თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ, 8 თებერვალი, 2018 წ.
- თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N22 თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, 28 დეკემბერი 2022
- ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N15 ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, 3 მაისი, 2022 წ.
- ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N15 ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, 25 ივლისი, 2014 წ.
- ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N6 ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ, 18 იანვარი 2018 წ.
- ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N11 ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ, 1 აპრილი, 2019 წ.
- ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N32 ყვარლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, 22 დეკემბერი 2022
- თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N22 თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, 21 დეკემბერი, 2021 წ.
- თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N28 თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, 11 დეკემბერი, 2017 წ.
- თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N41 თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ, 08 იანვარი 2018 წ.

- თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N14 თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ, 22 იანვარი, 2018 წ.
- თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N18 თიანეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, 16 დეკემბერი 2022.

8. დანართები

დანართი 1. ფოკუს ჯგუფური დისკუსიების სახელმძღვანელო

მუნიციპალური ტყეების მართვა საქართველოში
გზამკვლევი ფოკუს-ჯგუფებისა და ინტერვიუებისთვის სამიზნე მუნიციპალიტეტებში

შესავალი კითხვები

1. ზოგადად, რა სახის და რა ფუნქციური დანიშნულების ტყეები გვხვდება თქვენს მუნიციპალიტეტში? (წიწვოვანი, ფოთლოვანი, რეკრეაციული, სამეურნეო, დაცვითი...)
2. რამდენი ჰექტარი ტყე არის თქვენს მუნიციპალიტეტში?
3. თუ არის თქვენს მუნიციპალიტეტში დაცული ტერიტორიები და რა ფართობისაა? რა ფართობისაა ტყე მოცემულ დაცულ ტერიტორიებში?
4. არის თქვენს მუნიციპალიტეტში დაცული ლანდშაფტი? თუ კი რა ფართობისაა? ვინ მართავს?
5. თქვენი დაკვირვებით, როგორ მდგომარეობაშია ტყეები თქვენს მუნიციპალიტეტში? რატომ ფიქრობთ ასე?

მოსახლეობის მიერ ტყის რესურსების გამოყენება

1. თქვენი ინფორმაციით, რა მიზნით იყენებს ადგილობრივი მოსახლეობა ტყის რესურსს თქვენს მუნიციპალიტეტში?
2. უფრო კონკრეტულად, რისთვის იყენებს ადგილობრივი მოსახლეობა ტყის მერქნულ რესურსებს?
3. რისთვის იყენებს მოსახლეობა ტყის არამერქნულ რესურსებს?
4. თქვენი ინფორმაციით, რა სახის დაბრკოლებებს აწყდება ადგილობრივი მოსახლეობა ტყის მერქნული რესურსების გამოყენებისას? (დავაკონკრეტოთ, ბიუროკრატიული, ტექნიკური და სხვა სახის პრობლემები)
5. თქვენი ინფორმაციით, რა სახის დაბრკოლებებს აწყდება ადგილობრივი მოსახლეობა ტყის არამერქნული რესურსების გამოყენებისას? (დავაკონკრეტოთ, ბიუროკრატიული, ტექნიკური და სხვა სახის პრობლემები)
6. თქვენი დაკვირვებით, როგორ შეიძლება ამ პრობლემების მოგვარება?

კანონმდებლობა

1. საქართველოს აქვს ახალი ტყის კოდექსი. რა გსმენიათ ამ კოდექსის შესახებ? როგორ განიხილავს კოდექსი მუნიციპალიტეტებისათვის ტყის გადაცემის და მუნიციპალური ტყის მართვისა და კონტროლის საკითხს?
2. ხომ არ იცით ტყითსარგებლობის რა სახეები არსებობს? რომელი სარგებლობა გამოიყენება ყველაზე ხშირად თქვენს მუნიციპალიტეტში?
3. რამდენად გაქვთ შეხება დღეს არსებულ კანონქვემდებარე აქტებზე? (საჭიროების შემთხვევაში დავაკონკრეტოთ 496 და 221 კანონქვემდებარე აქტები)
4. რა ინფორმაცია გაქვთ, რა კრიტერიუმები არსებობს სახელმწიფო ტყისთვის სტატუსის შეწყვეტისთვის? რა შემთხვევაში ხდება სახელმწიფო ტყით სპეციალური სარგებლობა და რომელი კანონქვემდებარე აქტით რეგულირდება აღნიშნული საკითხები?
5. გარემოს დაცვის მიმართულებით არსებობს შიდა დოკუმენტები მუნიციპალიტეტში?

მუნიციპალიტეტის ინტერესი

1. თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს განხილული თქვენს მუნიციპალიტეტში ადგილობრივ ტყედ?
2. თქვენი აზრით, რამდენად მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტებისათვის ტყის გარკვეული ფართობების გადაცემა მართვაში? რა შეიძლება იყოს მსგავსი ქმედების დადებითი და უარყოფითი მხარეები? რატომ?
3. თქვენი დაკვირვებით რა კონკრეტული სარგებელი შეიძლება ნახოს მუნიციპალიტეტმა ტყის რესურსების გადაცემის შემთხვევაში? რატომ? (ფოკუსირება რეკრეაციულ ფუნქციაზე ტყის, ეკონომიკურ ფუნქციაზე, სოციალურ და კომერციულ ფუნქციაზე მუნიციპალიტეტის ინტერესის ჭრილში და სხვა)
4. რა დადებითი და უარყოფითი შედეგები შეიძლება მოყვეს მუნიციპალიტეტებისთვის ტყის გადაცემას ადგილობრივი მოსახლეობისათვის? რატომ ფიქრობთ ასე?

მუნიციპალური რესურსები

1. გთხოვთ, გაგვიზიაროთ ინფორმაცია თქვენს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული ან ეკონომიკური სამსახურის შესახებ. რამდენი ადამიანი მუშაობს? როგორია საშუალო ხელფასი? როგორ ხდება კადრების დაკომპლექტება ამ სამსახურში? როგორია წლიური ბიუჯეტი?
2. გთხოვთ, გაგვიზიაროთ ინფორმაცია რომელიმე ააიპ-ის ან შპს-ს შესახებ. მაგალითად, გამწვანების ან დასუფთავების სამსახური: როგორია ამ სამსახურის სტრუქტურა და ბიუჯეტი?
3. თქვენი აზრით, მუნიციპალიტეტისთვის ტყის გადაცემის შემთხვევაში ვის მიერ მოხდება მისი მართვა და კონტროლი? თუ შეიქმნება ახალი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი და რა იურიდიული ფორმით? ააიპ, შპს, სააქციო საზოგადოება? რომელი მუნიციპალური სტრუქტურა განახორციელებს საზედამხედველო ფუნქციას?

4. თქვენი აზრით, მუნიციპალიტეტების ტყის გარკვეული ფართობის გადაცემის შემთხვევაში, რა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იქნება საჭირო და როგორი იქნება მისი ბიუჯეტი? როგორ უზრუნველყოფთ შესაბამისი ბიუჯეტის მოძიებას და გამოყოფას (რა წყაროებიდან)?
5. რამდენად რთული იქნება შესაბამისი კადრების მოძიება ტყის მართვის ერთეულის დასაკომპლექტებლად?
6. რა კონკრეტული გამოწვევები შეიძლება ახლდეს მუნიციპალიტეტებისთვის ტყის მართვის/ზედამხედველობის პროცესს?
7. როგორ შეიძლება გამოწვევების გადალახვა?
8. თუ გსმენიათ სხვა მუნიციპალიტეტები როგორ მართავენ დაცულ ლანდშაფტს თქვენს ან სხვა რეგიონში? რამდენად შესაძლებელია მათი პრაქტიკის გათვალისწინება?

საზოგადოების ჩართულობა

1. რა მექანიზმებია, რაც საშუალებას აძლევს ადგილობრივ მოსახლეობას მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის მართვის პროცესში? როგორ აწესრიგებს ამ საკითხს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი?
2. ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის რა პრაქტიკები არსებობს მუნიციპალიტეტის მართვის და/ან პრობლემების მოგვარების პროცესში?
3. როგორია ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება მუნიციპალიტეტის მართვის საკითხებისადმი ზოგადად? თუ გამოირჩევიან აქტიურობით? ხომ არ აქვს ადგილი ინდიფერენტულობას და რა მიზეზით?
4. დღესდღეობით რა პრობლემებს აწყდებით ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის კუთხით? (ინტერესის არარსებობა, ცნობიერების დაბალი დონე, ინდიფერენტულობა, საჭირო ფინანსების არარსებობა, მაგ. ტრანსპორტირებისათვის, სხვა)
5. თქვენი დაკვირვებით, რა გზები არსებობს რომ მოსახლეობა ჩაერთოს ტყის მართვის პროცესში თქვენს მუნიციპალიტეტში? (ან გამოსწორდეს მე–4 კითხვის პასუხად მიღებული ხარვეზები)